№ 133
1877—1905
№ 133

სამშაბათი, 2 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილით 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სამშაბათი, 2 აგვისტო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა

დეკანოზი ლუკა თედორეს ძე ჭიპაშვილი და ასული მისი მარო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის—პირველის—მეუღლისა, ხოლო მეორის—საყვარელის დედის

ფეოდოსია ალექსის ასულის ჭიპაშვილის

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება საქარის მაცხოვრის ეკლესიაში, ხუთშაბათს, 4 აგვისტოს, დილის 10 საათზე.
(3—1)

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება“.
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა“, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია“.
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
საღამოობით:
ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.
ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

„ბიუროკრატიული სეპარატიზმი“
და
თვითმართველობა

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და რუსეთის პროტექტორატი იცნო, ჩვენი სამშობლო ბიუროკრატთა სამფლობელო შეიქმნა. ბიუროკრატიამ მოიკალათა აქ და ქვეყნის სრული ბატონი გახდა. გაბატონებისათანავე უყურადღებოდ დასტოვა მან არა თუ საქართველოს სიკეთე, არამედ რუსეთის სახელმწიფოს სარგებლობაც-კი. იგი მუდამ იჩის მეცადინეობაში იყო, რომ თავისი ბატონობა განემტკიცებინა და ამიტომ ჩვენი მხარესთვის ის მცირედი კანონიერობაც კი მოეკლო, რომელიც შიდა-რუსეთში არსებობდა. გადაიკითხეთ დიდმნიშვნელოვანი მასალა ,,აქტებისა'', გადაიკითხეთ ამ ,,აქტების'' მკვლევარი ბ-ნ ალ. ფრონელის სხვადასხვა საინტერესო ,,ისტორიული ამბები'' და ნახავთ, თუ რა ჯურის ხალხი განაგებდა საუკუნის განმავლობაში საქართველოს სვე-ბედს...

ჩვენში დამყარებულმა ბიუროკრატიამ მოხერხებულად ისარგებლა იმ გარემოებით, რომ საქართველოში უცხო ტომის ხალხი იყო დასახლებული და არა რუსი; ისარგებლა ამ მხარის რუსეთზე დაშორებით და ახლად დაკავშირებული ქვეყანა გამოაცალა იმპერიას, თვით ჩაიგდო ხელში და შეიქმნა ბატონი.

რაკი ბიუროკრატიამ ამ მდიდრისა და ტურფა ქვეყნის ხელში ჩაგდება მოისურვა, რაიმე საფუძველი უნდა გამოეძებნა იმისი, რომ ცენტრის მთავრობას მისთვის გადაეცა ეს მხარე. და, აი, ბიუროკრატიამაც მონახა ასეთი საფუძველი. კავკასიისა და კერძოდ საქართველოს მკვიდრთ სურთ აქაური მხარე რუსეთს ჩამოაშორონ და დამოუკიდებელი ქვეყანა შექმნანო; საქართველოს სურს ძველის სამეფოს აღდგენაო, ხოლო ეს რომ არ მოხდეს, ამისთვის საჭიროა რეპრესსიული ზომები, რომლის შემოღება ჩვენ უნდა მოგვენდოსო.

ეს საშუალება სწორედ რომ უებარი გამოდგა და სიტყვა „სეპარატიზმმა“ ისე დააფრთხო რუსეთის ცენტრის მთავრობა, რომ მას ვითომდა ერთად-ერთი საბრძოლველი საგანი გაუხდა: მოსპობა საქართველოში სეპარატიული ტენდენციისა. რუსეთის „პატრიოტულმა“ პრესსამ, ამ დაუღალავმა დარაჯმა ბიუროკრატიის ინტერესებისამ, ბანი მისცა კავკასიის ბიუროკრატიას და „სეპარატიზმის“ აჩრდილით დაშინებული მუდამ «ყარაულს» იძახდა აჯანყების ჩასაქრობად... ამ ხერხმა გასჭრა, შიშის ზარი დასცა ცენტრის მთავრობას და საქართველოს ბედ-იღბალი კავკასიის ბიუროკრატიას მიანება. ამანაც თავისს საწადელს მიაღწია. ის სხვას სდებდა ბრალს და ცილსა სწამებდა, იმპერიისაგან გაყოფა და განცალკევება უნდაო, თვით კი თავისი იდეალი ამ საშუალებით განახორციელა,—რუსეთის იმპერიას ჩამოაცალა საქართველო.

ამგვარად „ბიუროკრატიული სეპარატიზმი“ ისტორიული ფაქტი შეიქნა ჩვენს ცხოვრებაში. საქართველოს არ მიეცა არც ერთი არსებითი რეფორმა, რუსეთში შემოღებული. ყოველ სფერაში ქართველს რუსის მოხელეს უყენებდნენ წინ და ყოველთვის,—საჭირო იყო ეს, თუ არ იყო,—იმპერიისა და მისი ნაწილის ინტერესების შეტაკებასა ცდილობდნენ. იმ ქვეყანაში, სადაც აგრარულმა მოძრაობამ საოცარისა და არა-ჩვეულებრივის ძალით იჩინა თავი, ამ ქვეყანაში რუსეთიდან კოლონისტებს ასახლებდნენ, რომ ამ ორ ხალხის შორის დამოკიდებულება, რამდენადაც-კი შეიძლებოდა, მეტად გაემწვავებინათ, შეიქმნა დევნა ქართულის ენისა და სარწმუნოებისა. მდიდარი ქვეყანა, რომლის მეურნეობა, სხვადასხვა დარგის წარმოება და აღებ-მიცემობა თვით იმპერიისათვის ხელსაყრელი და სასარგებლო იყო, გაღატაკდა. ეკონომიურ ცხოვრების განვითარების მაგიერ, ბიუროკრატია მუდამ სამხედრო ძალის განვითარებას ცდილობდა. ხოლო, რათა უფრო დაეცვა თავისი ბიუროკრატიული დამოკიდებულობა ცენტრისაგან, თავისი განსაკუთრებული მილიციაც კი შჰქმნა, ეგრედ წოდებული, „ზემსკაია სტრაჟა“, ვითომ და ყაჩაღობის მოსასპობად, რომლის შესუსტებას უფრო სხვა წამალი ეჭირვებოდა.

ამგვარად, ბიუროკრატის დამოუკიდებელი არსებობა განმტკიცდა. ამ ბიუროკრატიისათვის ერთად ერთი სატრფიალო საგნი კარიერა იყო და ამ კარიერის მისაღწევად ერთად-ერთი სახსარი ჰქონდა: ქართველ ერის სეპარატიზმი. რაც უნდა ჩაედინა აქაურ მოხელეს, რა ბოროტებაც უნდა მოემოქმედა, გასამართლებელი საბუთი მზადა ჰქონდა: ქართველები «სეპარატისტები“ არიან, რუსები ეჯავრებათ, თავიანთ სამეფოს აღდგენა სწადიანთო. ეს საბუთი ისეთი თილისმა იყო, რომ ჩადენილ დანაშაულობას აღარავინ აქცევდა ყურადღებას.

დღეს ბიუროკრატიამ რუსეთში დანათესი მოიმკო და მისი დანათესის ღირსებამ ყველაზე უფრო განაპირა ქვეყნებში იჩინა თავი. მოძრაობა ფინლიანდიაში, პოლონეთსა და საქართველოში უფრო მწვავე და ცხარი, უფრო მედგარი და საშიშარი, ვიდრე იმპერიის სხვა კუთხეებში. დღეს რუსეთის საუკეთესო წარმომადგენლებმა სცნეს, რომ ჩვენში გამეფებული „ბიუროკრატიული სეპერატიზმი'' მავნებელი და საზარალოა რუსეთის სახელმწიფოსთვის და აღიარეს, რომ თვით რუსეთის პროგრესისათვის საჭიროა არა-რუს ეროვნებათ მიენიჭოს თავისუფლება, მიხდეს დეცენტრალიზაცია, მაგრამ—არა ბიუროკრატიული, არამედ—თვითმართველობის პრინციპზე დამყარებული, ე. ი. განაპირა ქვეყნებში შემოღებულ იქმნას ავტონომიური თვითმართველობა.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ (,,მწერალთა კავშირი'', ,,ქალაქების წარმომადგენელთა კრება'') განაპირა ქვეყნების ,,ავტონომია'' პროგრამის ერთ-ერთ მუხლად გაიხადა, და ეს აზრი, თავდაპირველად ორიოდე მწერლისაგან წარმოთქმული, თანდათან ფეხს იკიდებს რუსეთის საზოგადოებაში *).

მიზეზი ამ მოვლენისა, ე. ი. რომ **ავტონომიის პრინციპი** თანდათან მეტ თანაგრძნობას იძენს რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში, ალბად იმაში უნდა ვეძიოთ, რომ განაპირა ქვეყნებმა დიდი კულტურული ძალა გამოიჩინეს, რუსეთის გამოფხიზლების პირველი მახარობელი ზარი აქ ჩამოჰკრეს და რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუფასებელი სამსახური გაუწიეს. ის, ვინც განაპირა ქვეყნებისა და კერძოდ საქართველოს კულტურას უარსა ჰყოფდა, თავისდა უნებურად დარწმუნდა, რომ საქართველოს ისტორიასა და კულტურას შიდა-გუბერნიების წარმომადგენელი არა თუ ვერ დასცინებს, არამედ მოშურნის თვალითაც უნდა დაუწყოს ცქერა. ამ აღმოჩენამ, ამ საბუთმა ქართველ ხალხის გონიერებისა და სიფხიზლისამ რუსეთის მოწინავე საზოგადოება გააკვირვა და იძულებული გახადა —ეცნო მისი ისტორიულ-პოლიტიკური უფლებები[2].

გარდა ამისა თვით რუსეთის საერთო ბიუროკრატიულ წესწყობილების ისტორიამაც ნათლად დაანახვა ყველა შეგნებულ და შორსმჭრეტველ რუსს, რომ ძველებური პოლიტიკა რუსეთის მთავრობისა განაპირა ქვეყნებში უარყოფილ უნდა იქმნას, რომ მებრძოლი პოლიტიკა ვერ შეჰქმნის სახელმწიფოს ძალას, თუ გინდ ამ პოლიტიკის მეთაურთ რუსის სალდათის უსაზღვრო მორჩილებაც ჰქონდეთ ხელში, თუ გინდ ქვეშევრდომთა რიცხვი ზღვის ქვიშას აღემატებოდეს. ამ გაკვეთილმა უეჭველ ჰყო რუსეთის ცხოვრების მომავალ ხელმძღვანელთათვის, რომ სრულიად ახალ გზას უნდა დაადგეს რუსეთის პოლიტიკა, თორემ რუსეთსაც მოელის ის ბედი დაცხრილვისა და დაქსაქსვისა, რაც ოსმალეთსა და სპარსეთს ხვდა წილად ისტორიაში.

ამის შიში უკვე გამოსთქვა ზოგიერთმა რუსის მწერალმა. უსაზღვრო იმპერიის ერთიანობის დაცვას სულ სხვა რამ სჭირია. იმ იმპერიას, რომელსაც რკინის რგოლივით გარს არტყია განაპირა ქვეყნების ერები, რომელნიც მთელის თავის არსებით, ისტორიითა და კულტურით განსხვავდებიან სახელმწიფოს მთავარ ერისაგან, ერები, რომელთა განსხვავებით გამწვავებას შეალია მთელი თავისი ძალა რუსეთის ბიუროკრატიამ,—ასეთის სახელმწიფოს ერთიანობის დაცვა ცეცხლითა და მახვილით არ შეიძლება, ურიცხვ ჯარების გამწკრივებით ვერ მოიპოვება ნამდვილი რეალური ძალა. საჭიროა ამ ძალისა და მტკიცე ერთიანობის მოპოვებისათვის განაპირა ქვეყნების გულის მოგება, მათის სულის დაახლოება, რაიცა შესაძლოა მხოლოდ და მარტო ამ ერთა ისტორიულ უფლებათა და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით.

თუ ჩრდილო-დასავლეთის განაპირა ქვეყნებს არ დააკმაყოფილებს რუსეთი, თავის დღეში გერმანიის შიშს ვერ მოიცილებს გულიდან, და თავის მოტყუება იქნება გერმანიის მეგობრობაზე ფიქრი. ხოლო თუ ეს აღმოსავლეთ სამხრეთის განაპირა ქვეყნების გულს არ მოიგებს, ოსმალეთი, მცირე აზია და აზიაში გავლენის უფალი ინგლისი ნიადაგ თავზარდამცემ შიშის აღმძვრელნი იქნებიან რუსეთისათვის.[3]

ეს ყოველივე ესმით, ანუ ბედშავმა სინამდვილემ გააგებინა რუსეთის მოწინავე პარტიებს. მათი აზრითაც, თუ ამ პოლიტიკას არ უღალატებს განახლებული რუსეთი, თუ ამ პოლიტიკას დაადგება თავიდანვე, მის კეთილ ნაყოფს მალე მოიკრეფს. შესაძლოა მაშინ ქართველმა ერმაც ფასი დასდოს ამ 100 წლის წინანდელ პოლიტიკურ აქტს, რომელმაც მას ამდენი ზნამი დაალევინა...

საქართველოს ავტონომიური თვით-არსებობა აუცილებელი შედეგია შეკავშირებულ რუსეთისა და საქართველოს ისტორიის მსვლელობისა და ვინც, რაიმე მოსაზრებით, წინააღმდეგია ამ პრინციპისა, ისტორიულ პროცესის ძლევამოსილ ზედ-გავლენით იძულებული გახდება იცნოს მისი აუცილებლობა და საფუძვლიანობა ჩვენის ცხოვრებისათვის, რადგან ამ პოლიტიკურის ტენდენციის შექმნა ეკუთვნის ორმოცის საუკუნის ჩვენს ისტორიულ ცხოვრებას.

კიტა აბაშიძე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

31 ივლისი.

ბელგრადი, 30 ივლისი. ახალი არჩევნების შემდეგ მთავრობამ თავისი საქმე შესრულებულად ჩასთვალა და მეფეს ქაღალდი მიართვა, სამსახურიდან გაგვანთავისუფლეო.

ნოვოჩერკასკი, 30 ივლისი. დონზე ხოლერის გაჩენის შიში აღარა აქვთ. სასანიტარო კომისიები გააუქმეს.

სარატოვი, 30 ივლისი. ,,რუსკოე სლოვოს'' მიერ გავრცელებული ხმა: ვითომ ბალაშოვში ნაცემი ექიმი შმელევი გარდაიცვალაო, ტყუილია, შმელევი ცოცხალია. ბალაშოვის სამაზრო საერთო გამგეობა დაბეჭდეს,—იგი აღარა მოქმედობს.

სიმფეროპოლი, 30 ივლისი. დღეს აქ აკურთხეს ამაღლების ეკლესია, რომელიც სიმფეროპოლის მიერ მტრის მოგერებიდან 50 წლის შესრულების სახსოვრად ააგეს.

სარატოვი, 30 ივლისი. კამიშინსა, ვოლსკსასა და სოფელ არაშში დაარსდა პედაგოგიური კურსები გუბერნიის საეკლესიო სკოლებისათვის მასწავლებლების მოსამზადებლად, კურსებზე შემსვლელთა რიცხვი ორასს კაცს აღემატება.

მინსკი, 30 ივლისი ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ მისწერა გუბერნიის ქალაქების მმართველობათ, ებრაელ-ხმოსანთა თავისუფალი ადგილები ქრისტიან კანდიდატებს ჩააბარეთო.

ბელგრადი, 20 ივლისი. მთავრობის თხოვნა—სამსახურიდან გაგვანთავისუფლეთო—მეფემ არ შეიწყნარა. სტოიანოვი ისევ კაბინეტის მეთაურად დარჩა. კაბინეტშიაც ისევ ძველები არიან.

პეტერბურგი, 30 ივლისი. როგორც გაზეთები იუწყებიან, სენატორებად შეიძლება მიწვეულ იქმნენ ხოლმე თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ორისავე სატახტო ქალაქების მოურავები და ის სწავლულნი, რომელთაც უფლებათა დოქტორის ხარისხი მიუღიათ. ამ პირებიდან სენატი აირჩევს თავისუფალ ადგილებზე ორს კანდიდატს, რომელნიც უმაღლესად იქმნებიან დამტკიცებულნი. სენატორთა არჩევნების ასეთი წესი იმისი თავდები იქმნება, რომ სენატის დადგენილებას უფრო დამოუკიდებელი ხასიათი მიეცემათ.

ფრანკფურტი-მაინზე, 30 ივლისი. ბუენოს-აირესში ერთი ანარხისტი შეიპყრეს, რომელსაც პრეზიდენტის მოკვლა უნდოდა.

თავრიზი, 30 ივლისი. 28 ივლის ნიაღვარმა კვლავ წაღეკა ახალი რკინის გზის ლიანდაგი. ნიაღვარი ლიანდაგს 6 არშინზე შემოადგა.

ტურინი, 30 ივლისი. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი გუშინ საღამოს ჩამოვიდა, ჰფიქრობენ, რომ რუზველტთან სადარბაზოდ მივაო.

ბათომი, 30 ივლისი. ცნობები მოვიდა, რომ ტრაპეზუნდიდანა და ანატოლიის სხვა ნავთსადგურებიდან სტამბოლში წამსვლელთ თავისუფალი მიმოსვლა აუკრძალესო. ეს განკარგულება მოახდინეს მას შემდეგ, რაც სულთანის მოკვლა განიზრახეს.

თეირანი, 31 ივლისი. როგორც იუწყებიან, ინგლისელები სპარსეთის ბელუჯისტანის საზღვრებზე ენერგიულად მოქმედობენ. აშკარაა, რომ იგინი დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტების ლადისისა, დუზაბისა და მირჯაბას დაპყრობასა სცდილობენ. სპარსეთმა მირჯაბიდან თავისი კომისარი გაიწვია, რადგან ღალატი და გამცემლობა შესწამა. შემოდგომაზე ინგლისელები ბელუჯისტანში ტელეგრაფის გაყვანას აპირებენო.

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით, ბულიგინის პროექტი მიღებულ იქმნა იმ სახით, რა სახითაც მოიწონა იგი მინისტრთა საბჭომ ივნისის თვეში მომხდარ სხდომებზე. მთელ პროექტიდან მარტო სამი საკითხი დარჩა გამოურკვეველი: საარჩევნო ცენზისა, საბჭოს თავმჯდომარე—მდივნებისა და საქმის წარმოების შესახებ. როგორც უკვე ცნობილია ამ საკითხების შესახებ განზრახული იყო პროვინციის ქალაქებისათვის შეემუშავებინათ მინიმუმი და ზოგიერთი შეღავათები (პროვინციის ქალაქებიდან გამორიცხულია ისეთი დიდი ქალაქები, როგორიც არის კიევი, ვარშავა, ოდესა და სხვა), სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნების შესახებ წინადადება წარადგინეს, რომ ესენი აირჩეოდენ თვით საბჭოსაგან და მათი უმაღლესად დამტკიცება საჭირო არ არისო. საქმის წარმოების შესახებ კი დაადგინეს უმაღლესად დასამტკიცებლად წარედგინებოდეს ხოლმე მხოლოდ უმრავლესობის აზრი, როგორც საზოგადო აზრი ხალხის წარმომადგენელთა. ყველა ეს სამი საკითხი ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული, რამაც ბულიგინის პროექტის გამოცხადება დააგვიანა. აზრადა აქვთ ეს პროექტი ავგისტოს პირველ ნახევარში გამოაქვეყნონ.

პარიზი, 31 ივლისი (ჰავასი). პრეზიდენტმა ლუბემ ვალანსის დღესასწაულზე სთქვა: „ჯარი არც როდის არ ივიწყებს თავის ღირსებასა და სამშობლოს ინტერესებს: იგი არაოდეს არ დაადგება ქვეყნის დამღუპველ გზას და ეცდება, რომ თავის ხალხის გულის წყრომა არ დაიმსახუროს. თუ საჭიროება მოითხოვს, დროშას ღირსეულად დაიცავსო. ამას არც კვეხნით ვამბობ და არც ვაზვიადებ. იგი საუკეთესო თავდებაა ჩვენის ქვეყნის ინტერესებისა და ღირსეულ მშვიდობიანობის დაცვისაო.

მოსკოვი, 31 ივლისი. საველოვის რკინის გზის ლიანდაგზე, სადგურ ნიკშას მახლობლად საქონლის მატარებლები ერთმანეთს დაეჯახა. 13 ვაგონი დაიმსხვრა.

დილას აქ ჩამოვიდა გენერალ-გუბერნატორი დურნოვო.

ლინევიჩმა საერთო საერობო ორგანიზაციას სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნა იმის გამო, რომ მათ მიერ მოწყობილი სასანიტარო რაზმები ჩინებულად ყოფილა მომართული და ნაყოფიერადაც მოქმედობენო.

ლისკოვო, 31 ივლისი. ძლიერი ქარიშხალია და სოფელი ცეცხლშია გახვეული. ცეცხლი თანდათან ძლიერდება.

კიევი, 31 ივლისი. პოლონელთა საზოგადო საკრებულოს წესდება დაამტკიცეს. საკრებულოსთან პოლონური სამკითხველოც იქმნება.

ლონდონი, 31 ივლისი. კაიარი და საფრანგეთის აფიცრები დაესწრნენ იმ ბანკეტს, რომელიც პარლამენტის პალატებმა ვესტმინსტერში გამართეს. ბალფურმა სადღეგრძელო წარმოსთქვა: „საფრანგეთის ესკადრის დარბაზობა თვალსაჩინო მოვლენაა იმ დროს, როდესაც ინგლისი სრულ ერთგულებას იჩენსო“. ბალფური ამ მოვლენას აღმოსავლეთისა, დასავლეთისა და მთელ ქვეყნის მშვიდობიანობის დამყარების წინამორბედად სთვლის. ეს ორი ეროვნება წარსულში ხშირად ცალკ-ცალკე მოქმედობდნენ, მაგრამ მომავალში კი იგრძნობენ, რომ მათ ინტერესებს საერთო მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ და დიად საქმეებსაც გააკეთებენო.

ნიცა, 31 ივლისი. კასტილიონი, რომელიც 30 წლის განმავლობაში მოსკოვის რეალურ და სამხედრო სასწავლებლის მასწავლებლად იყო, 1 ოქტომბრიდან ნიცაში გიმნაზიას აარსებს.

კონსტანტინოპოლი, 31 ივლისი. ბარონ კალიცემ სულთანი ნახა და დაბეჯითებით მოსთხოვა, რომ მაკედონიაში საერთაშორისო კონტროლი შემოიღოს. სულთანი ამ საკითხის სერიოზულად განხილვას შეჰპირდა.

ლისკოვო, 31 ივლისი. ლისკოვში სასულიერო სასწავლებელი, ეკლესია და 60 სახლზე მეტი გადაიწვა, ზარალი ოცი ათას თუმნამდეა.

კრემენჩუგი, 31 ივლისი. ცეცხლმა აურებელი სახლები გადასწვა, ზარალი ათი-ათას თუმანს აღემატება.

მიტავა, 31 ივლისი. გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომელიც მცხოვრებლებს ავალებს, რომ ალაყაფის კარებები ცხრა საათზე ყველგან დაკეტილი იყოს ხოლმე.

ბარისოგლებსკი, 31 ივლისი. 23 ივლისს ბარისოგლებსკში 116 სახლი დაიწვა. საერთო ზარალი ათი-ათას თუმანს აღემატება.

მოსკოვი, 30 ივლისი. ქალაქის მუშათა დელეგატების მეორე სხდომა მოხდა. თავის საჭიროებათა განხილვის დროს, სხდომამ აღიარა, რომ მინიმალური ჯამაგირი თვეში 25 მანათი უნდა შეადგენდესო.

მინსკი, 31 ივლისი. საბჭოს სხდომაზე, რომელიც იმისთვის იყო მოწვეული, რომ ქალაქში ჩამოსულ კაზაკთა პოლკს სადგომი მოუძებნოს, გადასწყვიტეს, ამ საქმისათვის სამხედრო საქმეთა სამინისტროს ოთხი ათასი თუმანი მოსთხოვონ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 ივლისი.

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. ამბობენ: ვიტტე იაპონიის ყველა მოთხოვნილებაზე დასთანხმდება

---

*) კომაროვსაც კი წამოსდა, შესაძლოა კავკასიაში ადგილობრივი კრებული იქმნას მოწვეულიო (ПОМѢСТНЫЙ СОБОРЪ).

[2] მოწინავე პარტიათაგან წინააღმდეგია ჯერჯერობით მხოლოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია.

[3] საკმარისია უკანასკნელი დროის ამბები გაიხსენოთ: ინგლისის პარლამენტში ლაპარაკი აღიძრა, გავგზავნოთ შავ-ზღვაში ჯავშნოსნები ჩვენის ინტერესების დასაცველადაო. თუმცა ეს ლაპარაკი მარტო ლაპარაკად დარჩა პირველად, მაგრამ თავისთავად ესეც ფრიად დიდ-მნიშვნელოვანია. რუსეთს ჩინეთსავით დაუწყეს ყურება, სადაც შესაძლოდ ხდიან ჯარები გზავნონ „თავის ინტერესების“ დასაცველად.

გარდა ორისა: ის თანახმა არ არის სახალინის დათმობისა და სამხედრო საზღაურის გადახდისა.

პარიზი. 30 ივლისი. საფრანგეთის მთავრობას ოფიციალურად შეატყობინეს იაპონიის პირობანი. დიპლომატიური წრეები ამბობენ, ამ პირობებს რუსეთი ვერ მიიღებსო. ეშინიანთ საერთაშორისო კითხვები არ აღიძრას.

პორტსმუტი. 29 ივლისი. ვიტტემ კომურას შეატყობინა; რუსეთის პასუხი მზად არისო. ხვალ კონფერენციის სხდომები გაგრძელდება. ვიტტეს პასუხს კონტრ-წინადადების ფორმა ექმნება. უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ იაპონიის პირობებს არ შეიწყნარებენო.

ნიუ-კასტი. 29 ივლისი. აქ იმ აზრისანი არიან, რომ რუსეთი არ დაუთმობს არც სახალინს, არ მისცემს კონტრიბუციას და არც კორეაზე იაპონიის პროტექტორატს აღიარებს, თუ იაპონიამ რუსეთს ხელწერილი არ მისცა, რომ იაპონია კორეის სამზღვრებზე ციხე-სიმაგრეებს არ ააგებს. რუსეთი უარზეა აგრეთვე, დაუთმოს მანჯურიის რკინის გზა, გარდა იმ ნაწილისა, რომლის ტერიტორიაზედაც დღეს ოიამას ჯარი სდგას. იაპონელები ვლადივოსტოკის იარაღის აყრასა და ციმბირის წყლის პირა ადგილების დათმობას არა თხოულობენ.

ხარბინი, 30 ივლისი. განუწყვეტელმა წვიმებმა დიდი ზარალი მიაყენა მდინარე სუნგარის ნაპირად მყოფ ღია საწყობების პატრონთ. სასანიტარო კომისიამ დაადგინა: გაანადგუროს აუარებელი სათადარიგო ხორბლეულობა, რადგანაც წვიმებმა იგი დაალპო.

პორტსმუტი, 30 ივლისი. ვიტტემ გერმანიის ერთ-ერთ კორესპონდენტს უთხრა: „იაპონელებს პასუხს ხვალ წარვუდგენ. იაპონიის მოთხოვნილებას იმიტომ არ ვამჟღავნებ, რომ კომურას სიტყვა მივეცი—ვსდუმდე. მათი მოთხოვნილება მოლაპარაკებას ხელს არ უშლისო. ვიტტემ იაპონელები მოიწვია 30 ივლისის სხდომაზე. აზრადა აქვს აუხსნას იაპონელებს, რომ მათ კარგად არა აქვთ გათვალისწინებული რუსეთის მდგომარეობა. რუსეთი საბოლოოდ არ არის დამარცხებული, იგი ზავს არა თხოულობს და თავისს მხრით სურს მოთხოვნილებანი წარადგინოსო".

პორტსმუტი, 31 ივლისი. კონფერენციის სხდომები დღეს სამს საათზე განახლდა. ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ზავის შეკვრის იმედი ჯერ არ უნდა დავკარგოთ. როგორც ეტყობა, იაპონელებს ზოგიერთი მოთხოვნილებანი შეუცვლიათ.

ტოკიო, 30 ივლისი. ადმირალი ლატოკა იუწყება, რომ კორსაკოვსკის პოსტიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ 20 მილის მოშორებით, ტბის პირებისაკენ, რუსეთის ჯარების წინააღმდეგ მაშველი ჯარები გაუგზავნია. 28 ივლისს რუსებს იაპონიის გემებიდანაც დაუშინეს ზარბაზანი. 2 საათის განმავლობაში ყუმბარების სროლა არ შეუწყვეტიათ. ბოლოს 123 რუსი მტერს დამორჩილდა.

ვაშინგტონი, 31 ივლისი. „ნიუ-იორკ-სენ ფან''-ი სწერს: ის გარემოება, რომ იაპონიის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებაში ხარბინ-ვლადივოსტოკის რკინის გზა არ იხსენიება და კონტრიბუციაც გარკვევით არ არის აღნიშნული, მოლაპარაკებას ხელს შეუწყობსო. ამბობენ, რომ იაპონიას შეუძლიან დაუსრულებლად განაგრძოს ომი და რუსეთის პასუხის მიუხედავად სესხსაც იდვილად იშოვნისო. მაგრამ ახლა იაპონიის გამარჯვება საეჭოა, რადგანაც იმდენ ფულს ვერ იშოვის, რომ ომი ერთს წელიწადს კიდევ განაგრძოსო.

პარიზი. 30 ივლისი. ცნობები მოვიდა, რომ რუსეთი თანახმა არ არის: დაუთმოს იაპონელებს ის გემები, რომლებიც ნეიტრალურ ნავთ-სადგურებში არიან, შეამციროს აღმოსავლეთ აზიის ესკადრა და დაუთმოს სახალინი. თუ ვინიცობაა მოლაპარაკება შესწყდა, ვიტტეს აზრადა აქვს ამის მიზეზად, სხვათა შორის, დაასახელოს ის გარემოება, რომ იაპონელებმა ნება არ მისცეს პროფესორს მარტენსს კონფერენციას დასწრებოდა. დროებით ზავის ჩამოგდების შესახები საკითხის გადაწყვეტა ლინევიჩისა და ოიამას მოხსენების მიღებამდე გადაიდო.

პორტსმუტი. დღეს დილით ხან-მოკლე რჩევაზე, რომელიც დილის 10 საათსა და 40 წუთზე დასრულდა, რუსეთის რწმუნებულებმა იაპონელებს თავისი პასუხი გადასცეს. იაპონელები ცალკე ოთახში შევიდნენ ტოკიოში გასაგზავნ დეპეშის შესადგენად და პასუხის განსახილველად. შემდეგი სხდომა მოხდება დღეს სამ საათზე, ან ხვალ.

ტოკიო. 30 ივლისი. „პალლადა" წყლიდან ამოიღეს.

პორტსმუტი. 30 ივლისი. იაპონიის პარლამენტის წევრმა მოტცუმოტომ განაცხადა: იაპონელები გადაჭრით მოითხოვენ კონტრიბუციასა და სახალინის დათმობასაო. თუ ეს არ მოითხოვა, კომურას იაპონიის საზოგადოებრივი აზრი აუმხედრდებაო.

პორტსმუტი, 31 ივლისი. ერთად-ერთი ბრალი, რომელიც რუსეთს ედება, შეიძლება იყოს მხოლოდ ომის მიზეზის გამოწვევა, რომელიც იაპონიას უნდოდა და რომლისთვისაც 10 წელიწადი ემზადებოდა,—პასუხის მგებელი იაპონია რად უნდა იყოს და არა რუსეთი. პასუხი რომ მიიღეს, იაპონელებმა გასაოცარი თავდაჭერილობა გამოიჩინეს და ისე მოიქცნენ ვითომ უმთავრეს მუხლებში ეთანხმებიან. აქ ჰფიქრობენ, რომ იაპონიას შეუძლიან მხოლოდ ორ მოთხოვნილებაზე აიღოს ხელი. ვიტტეს პასუხი მარტივი და ზრდილობიანია. შუადღის 3 საათზე რუსეთ-იაპონიის თათბირი განახლდა. 5 საათსა და 25 წუთს რწმუნებულნი თათბირს განაგრძობდნენ.

სიტეზა, 31 ივლისი. როგორც ხმა დადის, იაპონელებს ჯარები ჩრდილო-კორეაში გადაჰყავთ ვლადივოსტოკის საწინააღმდეგოდ.

პორტსმუტი, 31 ივლისი. იუწყებიან, რომ იაპონიის მოთხოვნილებათა განხილვის დროს პირველად უმთავრეს საკითხებს არ შეეხნენ, არც კონტრიბუციაზე და არც სახალინის დათმობაზე არ უთათბირნიათ. ამ საკითხების განხილვა გადაიდვა, რაც იმის მომასწავებელია, რომ ზავის საქმეს მოაგვარებენო. გუშინდელს ორსავე კრებას მეგობრული ხასიათი ჰქონდა, თუმცა კრების დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს. ვიტტე უარჰყოფს იმ ხმებს, ვითომც იგი დროებით ზავის ჩამოგდებას თხოულობდეს.

ბერლინი, 31 ივლისი. „ნორდდეიტშე" იმ აზრისაა, რომ ზავი მოსახერხებელიაო. სხვადასხვა პარტიების პრესსა, იაპონიის მოყვრული გაზეთებიც კი იაპონიას ურჩევენ, მეტად გადაჭარბებულ მოთხოვნილებას ნუ წამოაყენებ, ხოლო ბრძნულის ზომიერებით განამტკიცე შენი გამარჯვების ნაყოფიო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ხე გვერდზე)

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 1 აგვისტო. დღეს დილით მოსკოვიდან ჩამოვიდა ნაფიცი ვექილი მურავიევი, რომელმაც ხვალ უნდა დაიცვას პოლიტიკური დამნაშავენი.—საქარიდან ქუთაისში ჩამოვიდა ახალი გუბერნატორი სტაროსელსკი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. ავსტრიის ოფიციალურ გაზეთ ,,პოლიტ. კორესპ.'' ლონდონიდან სწერენ: რუსეთისა და იაპონიის წარმომადგენელთა შეხედულებანი ზავის პირობების შესახებ ძირიან-ფესვიანად განირჩევიან. იაპონელები დარწმუნებული არიან და ამტკიცებენ კიდეც, რომ იაპონიამ გაიმარჯვა და ამიტომ ნებაც აქვს დამარცხებულ რუსეთს ზავის პირობები უკარნახოსო. რუსეთის ბიუროკრატია და სამხედრო პარტია კი, პირიქით, ამტკიცებს, იაპონიის ჯარმა რუსეთის ჯარს ბრძოლის ველზე რამდენჯერმე აჯობა, მაგრამ დამარცხებით არ დაუმარცხებიაო. რუსეთი მხოლოდ მაშინ იქნება დამარცხებული, როცა რუსეთს ან ომის სალარი გამოელევა, ან ლინევიჩის ჯარი განადგურდება და მარშალ ოიამას დანებდებაო (რ. ს.).

პარიზიდან „ბირჟ. ვედ.''-ს დეპეშით ატყობინებენ: იაპონიის მთავარმა რწმუნებულმა, ბარონმა კომურამ იაპონიის გაზეთ ,,კოკუმან''-ის კორესპონდენტს უთხრა: პრეზიდენტმა რუზველტმა მითხრა, რუსეთის რწმუნებულს ვიტტეს ისეთი ფართო უფლებები აქვს მინიჭებული, რომ ნება აქვს იაპონიას დაუთმოს რამე, ან უარი უთხრას და მოლაპარაკება შესწყვიტოს. თუ იაპონელთა პირობებმა რუსეთის ღირსება და თავმოყვარეობა არ შელახეს, ვიტტე დიდ ხანს არ ივაჭრებს და მალე დაგეთანხმებათ. მე გავარიჩე თქვენი და რუსეთის პირობები—სთქვა რუზველტმა,—და დავრწმუნდი, რომ მორიგება და საერთო პლატფორმის მოპოვება შესაძლებელიაო (რ. ს.).

,,ეკო დე პარის'' კორესპონდენტი პეტერბურგიდან იწერება: დღემდის რუსეთის ბიუროკრატია ცოტა ეჭვის თვალით უყურებდა ვიტტესი და კომურას მოლაპარაკებას და დარწმუნებული იყო, რომ იაპონიის პირობებს ვიტტე არ მიიღებდა. მაგრამ, რაკი აღმოჩნდა, რომ ვიტტემ პირველადვე უარი არ უთხრა იაპონელებს და მოლაპარაკება განაგრძო—ცოტა იმედი მიეცათ, იაპონიის პირობები ხელსაყრელი იქნებაო.

ვიტტემ დაწვრილებით მოხსენება შეადგინა რუზველტთან ლაპარაკის შესახებ და პეტერბურგში გამოგზავნა. ვიტტე იუწყება, იაპონიასთან მორიგება შესაძლებელიაო (რ. ვ.).

„რუს. სლოვოს" კორესპონდენტი პორტსმუტიდან დეპეშით იუწყება: საზღვაო არსენალს, სადაც მოლაპარაკება ხდება, ისე იცავენ, რომ ახლოს მიკარებაც არავის შეუძლიან. პორტსმუტი ამერიკელთათვის ისტორიული ქალაქია: 1775 წელს ამერიკელებმა პირველად აქ გამოაცხადეს თავისუფლებისთვის ბრძოლა.

ბრძოლა დაიწყო. ორი რჩეული დუელისტი—ვიტტე და კომურა ერთმანეთს შეებნენ, იარაღის პირველმა მოქნევამ უნდა გადასწყვიტოს, გაგრძელდება თუ არა ეს ბრძოლა. მთელი ქვეყანა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს არსენალის ზალის, რომელიც ჯერ-ჯერობით საიდუმლოებით არის სავსე. მთელი ქვეყანა ორ ბანაკად გაიყო: ზოგს ამ მოლაპარაკებისა არა სჯერა, ზოგი კი დარწმუნებულია, რომ ცოტა ხნის შემდეგ საშინელი სისხლის ღვრა შესწყდება. მთელი ქვეყანა ცდილობს წინდაწინვე გახსნას ეს ნასკვი და გამოიცნოს რამე, მაგრამ თავის დრომდის ვერავინ ვერაფერს გაიგებს. სინამდვილე ამჟამად მხოლოდ ოთხმა კაცმა იცის: კომურამ, ტაკახირამ, ვიტტემ და როზენმა. „ვენვორტ"-ის სასტუმრო, სადაც იაპონიისა და რუსეთის რწმუნებულნი ცხოვრობენ, მთლად ტელეგრაფის ლაბორატორიად გადაიქცა. ეს ლაბორატორია განუწყვეტლივ მუშაობს და ახალ-ახალი ამბები მიაქვს ტოკიოსა და პეტერბურგში. მთელი ქვეყნის პრესსის წარმომადგენლებმა აქ მოიყარეს თავი და, რადგან არავითარი ნამდვილი ცნობა არა აქვთ, ყოველნაირ ჭორებსა და მოგონებებს უგდებენ ყურსა. ყველამ კარგად იცის, რომ ვიტტეს, კომურას, როზენსა და ტაკახირას პირი წყლით აქვთ სავსე და ჯერჯერობით ხმას არ ამოიღებენ (რ. ს.).

იაპონიის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ ბარონმა კანეკომ გაზეთ „სუნ"-ის კორესპონდენტს უთხრა: თუ რუსეთი გაჯიუტდა და იაპონიის პირობები არ მიიღო, ამ ცოტა ხანში ამურის ოლქსა და ვლადივოსტოკს დაჰკარგავსო (რ ს.).

ცუსიმას ბრძოლა. ერთი რუსი, საზღვაო აფიცერი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ცუსიმის ბრძოლაში, მანილიდან იწერება: უნდა გამოვტყდე და ვაღიარო, რომ იაპონიის არტილერიამ სულ მიწასთან გასწორა რუსეთის არტილერია. ისე სწორედ გვესროდნენ, ისე საშინლად დაგვაყარეს ყუმბარა, რომ ჩვენი აფიცრები და მატროსები პირღია დარჩნენ. იაპონელების ყუმბარა მენილიტით არის გატენილი და, საცა გასქდება, შავ ბოლს ააყენებს ხოლმე. იაპონელები ხედავენ ამას და იგებენ, მოხვდა თუ არა ყუმბარა მიზანს. ჩვენი ყუმბარების ბოლი უფეროა და არაფერი სჩანს. იაპონიის გემები წყლის ფერად იყვნენ შეღებილნი და არ სჩანდნენ, ჩვენები კი შავად იყვნენ შეღებილნი და მშვენიერ მიზანს წარმოადგენდნენ. ერთი სიტყვით, იმიტომ დავმარცხდით, რომ სროლა არ ვიცოდით, ჩვენი გემები კუსავით დაცოცავდნენ, მატროსები და აფიცრები უვიცნი, გაუწვრთნელნი იყვნენ და ბრძოლის დასაწყისშივე დავთრები აერიათ. მაგრამ ყველაფერი ისევ თვითმპყრობელ როჟესტვენსკის ბრალია: $7\frac{1}{2}$ თვის განმავლობაში არავის ხმა არ გასცა, ერთი რჩევა არ ჰკითხა და ყველაფრის აბსოლიუტური ბატონი თვითონ იყო. ადმირალებსაც კი დარიგება და ბრძოლის თადარიგი არ მისცა, რასაც ის მოჰყვა, რომ 2 საათიდან საღამოს 7 საათამდე ჩვენ ფლოტს, გახურებულ ბრძოლის დროს, გამგე არ ჰყავდა. როჟესტვენსკი დაჭრილი იყო, სხვამ კი ვერავინ გაბედა უფროსობა (ს. ო.).

აფიცრების პასუხი. ბრძოლის ველიდან კორპუსის აფიცრებმა (რამდენიმე ასმა კაცმა) შემდეგი წერილი მოსწერეს ,,რუს. ვედ.''-ის რედაქციას: „გთხოვთ მოაგონოთ საზოგადოებას და უფრო კი ,,პატრიოტ'' თავადაზნაურობას, რომ ტოკიოს უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელნიც ძალიან თხოულობდნენ პორტ-არტურის აღების დაჩქარებას, გენ. ნოგის ეწვივნენ და ყველანი პორტ-არტურის იერიშის დროს დაიხოცნენ. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ,,პატრიოტები'' ომის სასარგებლოდ წარმოდგენების გამართვას თავს დაანებებენ, პატრიოტულ ფრაზების სროლას გაათავებენ, აქ, ბრძოლის ველზე ჩამობრძანდებიან, გვერდში ამოგვიდგებიან და პატრიოტობის მაგალითს გვაჩვენებენ''-ო (ს. ო.).

ახალი ამბავი

◆ ტფ. ქალაქის მოურავს ქ. ა. ვერმიშევს პეტერბურგში ყოფნის დროს ჯამგაროვის ბანკის კანტორასთან ჰქონია მოლაპარაკება **ტფილისისთვის 600 ათასი მანათის სესხის შესახებ.** კანტორა დათანხმებულა ასესხოს ტფილისს ეს ფული. პირობებზე მოლაპარაკება ენკენისთვეში დაიწყება.

◆ ამ დღეებში **ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრება საგანგებო კომისია** გენერალ სტახოვიჩისა და ვეიდენბაუმის მეთაურობით. კომისიამ, ნამესტნიკის მინდობილებით, უნდა გამოიკვლიოს სვანეთში გლეხთა მოძრაობის მიზეზი და თავ. დადიშქელიანების და გარდაფხაძეების საქმე. როგორც ამბობენ, ხსენებულ თავადებს უთხოვნიათ მთავრობისათვის ჯარის გაგზავნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს თხოვნა არ შეუწყნარებიათ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ **ნება დართო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს,** რომ მისდამი რწმუნებულ სასწავლებლის მოწაფეებმა მონაწილეობა მიიღონ ხოლმე მუსიკალურ სასწავლებელთა-მიერ გამართულ საღამოებში, თუ მშობლების ნებაც იქნებაო.

◆ ქალაქის გამგეობა **საჯაროდ აცხადებს,** რომ სადეზინფექციო ექიმის ადგილი ამ ჟამად თავისუფალია. ექიმს ჯამაგირად 1200 მანათი და გზის ფულად 420 მანათი მიეცემა. ამ ადგილის მსურველთ თხოვნები 15 აგვისტომდე უნდა შეიტანონ.

◆ 31 ივლისს აბასაბადის მოედანზე, არღუ-

ფელეტონი

ხელოვნურ ნაწარმოების კრიტიკა

თუ გვინდა ვიცოდეთ, როგორ ხსნის კრიტიკა პოეზიას ან საზოგადოდ ხელოვნურ ნაწარმოებებს, უნდა გავარკვიოთ ჯერ ის: 1) თუ როგორ უნდა ახსნას კრიტიკოსმა მთელი ხანის პოეზია, 2) როგორ უნდა ახსნას კრიტიკოსმა ერთი პოეტის მთელი ხელოვნება; 3) როგორ უნდა ახსნას კრიტიკოსმა რომელიმე პოეტის ნაწარმოები. როდესაც ადამიანი ახასიათებს საერთოდ საგნების გროვას, მაშინ ის მხედველობის სხვა საზომით ხელმძღვანელობს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ის ერთ რომელსამე საგანს ახასიათებს. უკანასკნელ შემთხვევაში ის ყურადღებას აქცევს საგნის ყოველგვარ თვისებას, რა წვრილმანიც უნდა იყოს მის. მკაფიო, გარკვეულ სურათის დასახატავად საჭიროა ერთნაირის სისწორით აღნუსხვა, ერთის მხრით, იმ თვისებებისა, რომლებითაც აღნიშნული საგანი სხვებს წააგავს, მეორე მხრით, იმ თვისებებისა, რომლებითაც სხვებისაგან განირჩევა. სულ სხვანაირად იქცევა ის პირველ შემთხვევაში: აქ ის მხედველობაში იღებს მხოლოდ საერთო თვისებებს, ე. ი. იმ თვისებებს, რომლებითაც საგნები ერთი მეორეს წააგავან. რატომ? იმიტომ რომ საერთო, ზოგად წარმოდგენას რამოდენისამე საგნისას მხოლოდ მათი საერთო თვისებანი იძლევიან და არა ინდივიდუალური. სწორედ იგივე უნდა ითქვას პოეზიაზედაც. სულ სხვაა, ერთის მხრით, მთელ რომელიმე ხანის პოეზიის დახასიათება, მეორეს მხრით, ერთის რომლისამე პოეტისა.

პირველ შემთხვევაში კრიტიკოსმა სახეში უნდა მიიღოს მხოლოდ ზოგადი საერთო თვისებანი ყველა იმ პოეტებისა, რომლებიც აღნიშნულ ხანას ეკუთვნოდნენ; მეორე შემთხვევაში კი ის განსაკუთრებულ ყურადღებას პოეტის ინდივიდუალურ თვისებებს აქცევს. გავიგოთ, რა უდევს სარჩულად საერთო თვისებებს პოეზიისას და რა—ინდივიდუალურ თვისებებს.

ყოველგვარი პოეზია, როგორიც და ვისიც უნდა იყოს, ან მხოლოდ აზრია ცხოვრების შესახებ, ან თვით ცხოვრებაა, ან ორივე ერთად. როდესაც პოეზია ცხოვრებას ხატავს, ცხადია, ეს ნახატი იმგვარი იქმნება, როგორიც თვით ცხოვრებაა, ან პოეტის წარმოდგენაა ამ ცხოვრებისა; ორივე შემთხვევაში ამგვარი პოეზიის ამა თუ იმ სახის მიზეზი ცხოვრების საზოგადოებრივი პირობანი არიან. რა არის პოეზიის მიზეზი მაშინ, როდესაც ის მხოლოდ ინდივიდუალური აზრია, პოეტის შეხედულებაა?

ყოველ აზრისათვის ორი ძირითადი მიზეზია საჭირო—ერთის მხრით,—გარეშე, მეორე მხრით—შინაგანი. გარეშე მიზეზს წარმოადგენს ცხოვრება, შინაგანს—ადამიანის პიროვნება. ადამიანი რომ აღიზარდოს საზოგადოების გარეშე, მას არა თუ არავითარი აზრი არ დაებადება თავში, ათასი წელიც რომ იცოცხლოს, ერთი სიტყვაც არ ეცოდინებოდა და უსიტყვოდ რა აზროვნება შეიძლება! ის წრე, სადაც ბავშვი იზრდება, ის სურათები, რომელსაც ბავშვი ხედავს, ნელნელა აღვიძებენ მასში აზროვნებას, და უკვე დადინჯებულ ადამიანის აზროვნებას ყოველთვის უტყუარი ბეჭედი აზის ცხოვრებისა. თუ ნიცშე ქმნის ზე-კაცის სამეფოს, ტოლსტოი უარყოფს თანამედროვე კულტურას, სპენსერს კი იდეალად მიაჩნია თანამედროვე ინგლისის საზოგადოებრივი წყობილება, ამის მიზეზია ერთის მხრით, მათი პიროვნება, მეორეს მხრით—ის ცხოვრება, რომელშიაც თვითოეული მათგანი იმყოფებოდა.

თუ ცხოვრების ერთი და იგივე პირობანი სხვადასხვა-გვარ აზრებს იწვევენ სხვადასხვა პირებში, მიზეზი ის არის, რომ ყოველ ადამიანს თავისებური ბუნება აქვს და მასში ერთი და იგივე ცხოვრება სხვადასხვა რეაქციას იწვევს; ყოველი აზრი ამონაკვნესია ცხოვრებისა, ხოლო პიროვნების გულში გატარებული. ამგვარად, რა სახისა და რა მიმართულებისაც უნდა იყოს პოეზია, ცხოვრება წარმოადგენს იმის საერთო ობიექტიურ მიზეზს. პიროვნება პოეტისა კი—იმის ინდივიდუალურ მიზეზს. ამიტომ, როდესაც კრიტიკოსი ახასიათებს რომელისამე ეპოქის პოეზიას, ის მხედველობაში იღებს მხოლოდ იმ საერთო მიზეზს, ე. ი. აღნიშნულ ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრების სოციალურ პირობებს.

მხოლოდ ამ პირობების გარკვევითა და გათვალისწინებით ის შეიგნებს და ახსნის ამ დროის პოეზიის საერთო საზოგადო ხასიათსა და მიმართულებას. მარტო სოციალური პირობების გათვალისწინება საკმარისი არ არის მაშინ, როდესაც კრიტიკოსი ხსნის ერთის რომელისამე პოეტის მთელ ხელოვნებას. რატომ? აი რატომ. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, პოეზიას ორი ძირითადი ფაქტორი აქვს: ცხოვრების პირობები და პოეტის პიროვნება. პოეზია მხოლოდ აზრია; ყოველი ადამიანის აზრი წარმოადგენს ცხოვრების ზედმოქმედების ნაყოფს, ხოლო ცხოვრების ზედმოქმედების გავლენას თან ერთვის პიროვნების ინდივიდუალური ბუნების გავლენაც. თუ ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საზოგადოებაში ერთი პოეტი ვარსკვლავებს შეგალობს, მეორე კი დედა-მიწას დასტირის, იმის მიზეზი მათსავე პიროვნებაშია.

პიროვნება რთული მცნებაა. მას ორი მხარე აქვს—ფიზიკური და საზოგადოებრივი. პიროვნება—ფიზიკური ერთიანად ნაყოფია მემკვიდრეობისა; პიროვნება საზოგადოებრივი კი ნაყოფია აღზრდის, განათლების და წრის ზედგავლენისა. თუ კრიტიკოსმა არ იცის პოეტის მემკვიდრეობა დაწვრილებით, მას აუხსნელი დარჩება მისი პოეზიის ზოგიერთი მხარეები; აგრეთვე, თუ ის არ იცნობს იმ წრეს, რომელშიაც პოეტი აღიზარდა, მისთვის გაუგებარი იქმნება მის პოეზიაში ბევრი რამ. ამგვარად, როდესაც კრიტიკოსი ხსნის რომელისამე პოეტის მთელ პოეზიას, ცხოვრების პირობებს გარდა, მან უნდა გაითვალისწინოს ჯერ პოეტის მემკვიდრეობა, მისი აღზრდა, განათლება და ის წრე, რომელშიაც ტრიალებდა პოეტი, როგორც ბავშობაში, ისე შემოქმედების ხანაში.

ყოველივე აღნიშნული საკმაო არ არის მაშინ, როდესაც კრიტიკოსი დააპირებს რომელისამე მწერლის ერთი რაიმე ნაწარმოების დაფასებას. ყოველ მკითხველს კარგად ექნება შემჩნეული, რომ ერთისა და იმავე პოეტის სხვადასხვა დროს ნაწარმოები სხვადასხვა თვისებისა არიან; მათში იდეის მხრით ნათესაობაც რომ იყოს, გრძნობისა და ტემპერამენტის სხვადასხვაობა მაინც იქნება. ამის მიზეზი ცხადია: ყოველი ადამიანი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სულიერ მდგომარეობაშია; სულიერი მდგომარეობა კი დაღს ასვამს პოეზიას. მე არ ვიცი არც ერთი პოეტი, რომლის ლირიკა სიღარიბის დროს, ერთის მხრით, და, მეორე მხრით, მატერიალური კმაყოფილების დროს ან პირადი უბედურებისა და ბედნიერების დროს ერთგვარი ყოფილიყოს. ამგვარად ყოველი პოეტის თვითეული ნაწარმოების ახსნის დროს კრიტიკოსი უნდა იცნობდეს კარგად იმ სულიერ მდგომარეობას, იმ წვრილმან მიზეზებსაც კი, რომელთა ზეგავლენით პოეტი შემოქმედებდა.

ამგვარად ცხოვრების საზოგადოებრივი პირობანი, პოეტის მემკვიდრეობა, მისი აღზრდა-განათლება, წრე და პოეტის სულიერი მდგომარეობა,—აი, ის ნიადაგი, ურომლისოდაც კრიტიკა უნაყოფოა. ამგვარი გზა ფრიად რთულია, ბევრში განუხორციელებელიც, მაგრამ ეს ერთად-ერთი გზაა კრიტიკისათვის.

ჩვენ განვიხილეთ პირველი ნაწილი კრიტიკისა. მის მეორე ნაწილს წარმოადგენს პოეზიის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამორკვევა. რა მნიშვნელობა აქვს პოეზიას? ემსახურება ან უნდა ემსახურებოდეს ის პრაქტიკულ მიზანს თუ არა? ამ კითხვის შესახებ უძველეს დროიდან აზრთა სხვადასხვაობა სუფევს. არისტოტელი, მაგალითად, უარყოფდა პოეზიას იქ, სადაც პრაქტიკული მიზანი გამოსჭვივდა და, ამის მიხედვით, არხიტექტურას ის ხელოვნებათ არა თვლიდა, მხოლოდ იმიტომ რომ არქიტექტურას პრაქტიკული მიზანი აქვს. კანტი, რენუვიე, გრინტალენი, სპენსერი—ყველა იმ აზრისანი არიან, რომ პოეზია და სარგებლობა ძირითადათ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ე. ი. იქ, საცა სარგებლობაა, პოეზია არ არის და იქ, საცა პოეზიაა, სარგებლობა არ არის. რატომ, რა დააკლდება პოეზიას მით, რომ ის სარგებლობას ემსახურებოდეს? ამის შესახებ არც ერთი არაფერს ამბობს. ისინი ხელმძღვანელობენ იმ მოსაზრებით, რომ ესტეტიური სიამოვნება—თამაშია, თამაში კი სარგებლობის მიზანს მოკლებულიაო. აქედან მხოლოდ იმის დასკვნა შეიძლება, რომ ესტეტიური სიამოვნება უსარგებლოა პრაქტიკულად, და არა ის, რომ პოეზიაც უსარგებლოა ცხოვრებაში. მართალია, პოეზია იძლევა ესტეტიურ სიამოვნებას, მაგრამ, გარდა ამ სიამოვნებისა, ის იძლევა სხვასაც და, აი, სწორედ ამ „სხვას" აქვს უმთავრესი მნიშვნელობა.

რა არის ეს „სხვა"? იქნება ის იყოს გემოვნება მშვენიერებისა და ამ გემოვნების განვითარებაში მდგომარეობდეს პოეზიის მნიშვნელობა, როგორც ამას ბევრი ჰფიქრობს?! ის პოეზია რომელიც მხოლოდ ესტეტიურ სიამოვნებას იძლევა და რომელიც მხოლოდ მშვენიერების გემოვნებას ავითარებს, ფრიად დაბალი ხარისხის პოეზიაა. ვთქვათ განუვითარა მკითხველს პოეზიამ გემოვნება მშვენიერებისა. მერე? მერე არაფერი! ექმნება მას განვითარებული გემოვნება, მორჩა და გათავდა! ვთქვათ, შესძინა პოეზიამ მკითხველს მხოლოდ ესტეტიური სიამოვნება, მერე? მერე არაფერი, დარჩება ის ნასიამოვნები, მორჩა და მოისვენა! მე არ უარვყოფ, რომ ერთიცა და მეორეც პოეზიას შეუძლიან, მაგრამ ერთიცა და მეორეც პოეზიის მდაბალ მიზნად მიმაჩნია. რა საბუთი მაქვს? მხოლოდ ერთი და, აი, ისიც: როდესაც საზოგადოებაში უმეტესი ნაწილი მოკლებულია ნორმალურ საზრდოს როგორც გონებისათვის, ისე კუჭისათვის; როდესაც საზოგადოებაში უმეტესობა მოკლებულია ნორმალურ თავისუფლებასა და ნორმალურ ადამიანურ უფლებებს, როდესაც საზოგადოებაში, ნაცვლად სიმართლისა და სამართლიანობისა, ძალმომრეობა და უსამართლობა ჰარპაშობენ,—ადამიანის ყოველ მისწრაფებას და ხელოვნებასაც სხვა მიზანი უნდა ჰქონდეს, ვიდრე ცალიერი სიამოვნება ან მშვენიერებისადმი გემოვნების განვითარება. ეს სხვა მიზანია—რაც შეიძლება, მეტი ბედნიერება უმეტესობისათვის. ვიდრე ადამიანთა უმეტესობა უბედურია, ხელოვნებაც სხვასთან ერთად უნდა ემსახურებოდეს მათს გაბედნიერებას და, თუ ოდესმე ის ამ დიად მიზანს მიაღწევს, მაშინ მისი მისიაც აღსრულებული იქმნება.

ამგვარად, როდესაც კრიტიკოსი არკვევს პოეზიის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მის რკვევას გზას უნდა უნათებდეს ზემოდ აღნიშნული მიზანი პოეზიისა.

ამ წერილის თავში ჩვენ გამოვთქვით ის გადაჭრილი აზრი, რომ პოეზია სულიერ სიამოვნებაზეა დამყარებული. აქ კი ჩვენ პოეზიის დანიშნულებას პრაქტიკულ მიზანში ვხედავთ. როგორ უნდა მოვათავსოთ ერთად ეს ორი შეხედულება? აზრთა წინააღმდეგობაა აქ თუ არა? სულიერი სიამოვნება წარმოადგენს იმ უმთავრეს პირობას, ურომლისოდაც პოეზია ვერ განახორციელებს თავის უმაღლეს მიზანს; სულიერი სიამოვნება მხოლოდ საშუალებაა მიზნის განსახორციელებლად და არა თვით მიზანი,—მიზანი იმას გარეშეა; სულიერი სიამოვნება ის მძლავრი იარაღია, რომლითაც პოეზია მწერლობის ყველა დარგს სჯობია. თუ პოეტი აღწევს მიზანს მხოლოდ ამ იარაღის წყალობით, იმ სარგებლობისათვის, რომელიც პოეტს მოაქვს, საუკეთესო საზომი სულიერი სიამოვნებაა. ხშირად ორ ხელოვნური ნაწარმოებში ერთი და იგივე აზრია ვატარებული, მაგრამ მაშინ, როდესაც ერთმათგანს გაფაციცებით კითხულობენ და არჩევენ, მეორე შეუმჩნევლად რჩება. ამის ერთად-ერთი მიზეზი ის არის, რომ პირველი აძლევს მკითხველს ძლიერ სულიერ სიამოვნებას, მეორე კი არა.

ყოველ მწერლის ღირსება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სარგებლობა და სიამოვნება ერთმანეთს შეუწონოს და სულიერ სიამოვნებასთან ერთად მკითხველს სასარგებლო აზრი, გრძნობა ან განზრახვა მიაწოდოს, რადგანაც პოეზიის პრაქტიკული მნიშვნელობის ტონი დამოკიდებულია სულიერ სიამოვნების ტონზე. სულიერი სიამოვნება კი შედეგია შვენიერებისა, თავის თავად. ცხადია, რომ მშვენიერებას ანუ ხელოვნურ ღირსებებს მოკლებული პოეზია უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ რჩება. ამიტომ ხელოვნურ ღირსების გარკვევა და დაფასება ყოველთვის წინ უნდა უძღოდეს პოეზიის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამორკვევას.

ყოველ პოეტის უპირატესობა, სხვა დარგის მწერალთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი მოქმედებს ესტეტიურ მოთხოვნილებაზე, სხვა მწერალი კი ვერა, ან ნაკლებად; პოეტსა და მკითხველს შუა შუამავლად ძლიერი ესტეტიური მოთხოვნილებაა; სხვა მწერალსა და

თინსკი-დოლგორუკოვის სახლში, მძიმედ დასჭრეს გლეხი ილია კოშიაშვილი. დამნაშავე ვლადიმერ აბესაძე შეიპყრეს.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის **გენერალ-გუბერნატორად ნამყოფი** ივ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

✦ ეგზარხოსის დასახვედრად ბალაჯარაში გაემგზავრა **სიონის ტაძრის კანდელაკი მ. ანტ. თოთიბაძე.**

✦ გუშინ, 1 აგვისტოს, კავკასიის ნამესტნიკის წინაშე **წარსდგნენ ქიზიყელ გლეხთა წარმომადგენელნი,** მომრიგებელ შუამავალ თდ. ჯორჯაძესის მეთაურობით.

✦ ტფილისში დაბრუნდნენ ნიკიტის **საიმპერატორო საბაღოსნო სკოლის მოწაფე-ექსკურსანტები.** ექსკურსანტებს შემოუვლიათ ანაპა, ნოვოროსისკი, ტუაპსე, გაგრა, ახალი ათონი, სოხუმში და საქარის სანერგე. გუშინ, 1 აგვისტოს, ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი და სააბრეშუმო სადგური. დღეს დაათვალიერებენ საუფლისწულო მამულებს და კახელ მევენახეთა სარდაფს, ხვალ, 3 აგვისტოს გაემგზავრებიან დუშეთის მაზრაში წინამძღვარიანთკარის სკოლის, აღაიანის სანერგის და მუხრანის საუფლისწულო მამულების დასათვალიერებლად. იქიდან ექსკურსანტები განჯის მაზრაში წავლენ.

✦ როგორც ბორჯომიდან გვატყობინებენ, კვირას, 31 ივლისს, იქ გაფიცულან მეეტლენი.

✦ შაბათს, 30 ივლისს. ტფილისში ჩამოიყვანეს დუშეთის მაზრაში **დაპატიმრებული ცხრა კაცი, ტომით სომხები.** ყველა ამათ იარაღის გადან-გადმოტანა ბრალდებათ.

✦ კვირას, 31 ივლისს, ქუთაისს გაემგზავრა ქუთაისის **ვიც-გუბერნატორად** ახლად დანიშნული **ალ. ყიფშიძე,**

✦ ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებმა დუხობორებმა ნამესტნიკის წინაშე **შუამდგომლობა აღძრეს,** განაცალკევონ იგინი ადგილობრივ მცხოვრებლებისგან სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს და დაუარსონ მათ ცალკე კენჭის ამოსაღები განყოფილება. ნამესტნიკმა ეს თხოვნა შეიწყნარა. ასეთივე თხოვნით მიჰმართეს მას სიღნაღის მაზრაში მცხოვრებმა რუსებმა და მალაკნებმა.

✦ რადგანაც სრული იმედი აქეთ, რომ სომეხთა საეკლესიო სკოლები ისევ გაიღება, სომეხთა **კათოლიკოსმა საჭიროდ დაინახა დაამზადებინოს სამოსწავლო პროგრამები და წესდებანი** ამ სკოლებისათვის. 18 ივლისს კათოლიკოსმა, ცნობილ სახალხო მოღვაწის ეპისკოპოსის ნაჰაპეტ ნაჰაპეტიანის თავმჯდომარეობით, დანიშნა კომისია. კომისიაში მონაწილეობას იღებენ: არქიმანდრიტები ჰუსიკი და მესროფი, გაზ. „მშაკის“ რედაქტორი ალ. ქალანთარი, ჰ. არაქელიანი, ლ. სარგისიანი, ექიმი კ. სტეფანიანი, ს. ჰარუთიუნიანი, ს. ტიგრანიანი, ჰ. სალათელიანი, ტ. ჰოვჰანისიანი, ს. ლისიციანი და ლ. მელიქ-ადამიანი.

გარდა ამისა, თუ კომისია საჭიროდ დაინახავს, შეუძლია მიიწვიოს გამოცდილი პედაგოგები, ინსპექტორები და მასწავლებლები.

✦ **თელავი.** ამ დღეებში თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა თავად-აზნაურთა კერძო კრება მოიწვია და გამოუცხადა: მთავრობას აზრადა აქვს ს. კურდღელაურში 50 კაზაკი და ერთი როტა სალდათი ჩააყენოს, რომ თავადებს ღალები აკრიბონ და ზარალი აუნაზღაურონ. ეგზეკუცია სოფლის ხარჯზე იქნება და, რადგანაც ეს ხალხის ძლიერ შემავიწროებელიაო, მაზრის წინამძღოლმა წინადადება მისცა კრებას—ვიშუამდგომლოთ, რომ **მთავრობამ ეგზეკუცია არ ჩააყენოსო.** კრება დასთანხმდა და მთავრობის წინაშე ამ შუამდგომლობის აღძვრას აპირობს.

✦ სადგურ ბაქოს მუშებმა და ხელოსნებმა რკინის გზის გამგეობაში **დეპუტაცია გაგზავნეს და ითხოვეს დღიურ მომუშავეთ ყველას ხელფასის 30% მოგვიმატეთო.** რკინის გზის გამგეობამ უპასუხა: იაპონიასთან ომისა და იმ ზარალისა გამო, რომელიც მუშათა გაფიცვებისგან წარმოსდგა და სამ ნახევარ მილიონს მანათს შეადგენს, თქვენს შუამდგომლობას ვერ დავაკმაყოფილებთო.

✦ ტფილისის სასამართლო პალატის უმფროსმა თავმჯდომარემ სთხოვა ტფ. გუბერნატორს, **გაუგზავნოს სია იმ სოფლის მამასახლისებისა,** რომელთაც რუსული ენა კარგად იციან. სიები უნდა შესდგეს ცალკე ყოველ მაზრაში და აღინიშნოს წოდება, გვარი, სახელი, დრო მამასახლისობის თანამდებობაზე დანიშვნისა და საცხოვრებელი ადგილი. როგორც პალატის თავმჯდომარე ატყობინებს გუბერნატორს, ეს მამასახლისები მოწვეულნი იქნებიან, წევრების უფლებებით, პალატის იმ სხდომებზე, რომელზედაც განსახილველად დანიშნული იქნება პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები (ც. ვ.).

✦ 10 აგვისტოსთვის დანიშნულია საგანგებო **კრება დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობისა.** კრება მოხდება ქალაქ დუშეთში.

✦ როგორც გავიგეთ, ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი **ი. ი. ფერაძე ინიშნება საეკლესიო სკოლების საოლქო მეთვალყურედ.**

✦ „ჩერნ. ვესტ.“ სიტყვით, 29 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ბათუმში **თოფით მოუკლავთ როტშილდის ქარხანაში მოსამსახურე ი. ხ. კრასოვსკი.**

✦ იმავე გაზეთის სიტყვით, 28 ივლისს, ბათომის რკინის გზის სადგურიდან ციხეში მიჰყავდათ 48 ტუსაღი. ერთ მათგანს, **თევდორე გაბელიას, რომელსაც კატორგაში გაგზავნა აქვს გარდაწყვეტილი, დრო მოუხელებია და გაქცეულა.** ჯარის კაცთ შვიდჯერ უსვრიათ, მაგრამ, ტყვია ვერ მოურტყამთ. გაბელია მიმალულა. რამდენისამე ხნის შემდეგ იგი პოლიციას შეუპყრია. ფეხის ბორკილები გაბელიას ვაგონშივე გაუტეხია და გადაუგდია.

✦ „კავკაზ“-მა 30 ივლისს **ჩელიაბინსკიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:** „გადავდგით რა ფეხი აზიაში, ვუძღვნით ჩვენს სალამს მშობლებს, ამხანაგებს და მეგობრებს“. ხელს აწერენ: პოდპოლკოვნიკი ხერხეულიძე, კაპიტანი მამინოვი და პოდპორუჩიკი კუჩუხიძე.

✦ ინჟინერ ვალუევის გარდა, რომელიც შუამდგომლობს, რომ კავკავში ნება მისცენ მას გამოსცეს გაზეთი „ჩერკეშენკა“, კიდევ რამდენიმე კაცმა შეიტანა თხოვნა, რომლებსაც აზრადა აქვთ გამოსცენ კიდევ ორი გაზეთი: „ვლადიკავკაზსკი ლისტოკ“-ი და „გორეც“-ი („ყაზ.“)

✦ როგორც ნამდვილად შევიტყვეთ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით ქუთაისის გუბერნიას **სამხედრო წესებით მართვა უნდა აეხსნას.**

✦ ყარსიდან **ყუბანის პოლკის ერთი ნაწილი და რამდენიმე აფიცერი ნატანებისკენ გაემგზავრა.**

✦ ამ თვის 6 და 7, საღამოს რვა საათზე, მურაშკოს თეატრში ავლაბარში, **გაიმართება ორი სახალხო-საქველმოქმედო წარმოდგენა,** რუსულ ენაზე. ითამაშებენ სცენის მოყვარე ქალები და ვაჟები, პეტერბურგის სახელოვნო-სალიტერატურო თეატრის არტისტის და ცნობილის დრამატურგის ზ. ბ. ოსტროვის ხელმძღვანელობით. 6-ს აგვისტოს ითამაშებენ ბ-ნ ოსტროვისავე პიესებს: „ანდერძს“, კომ. 1 მოქ., „ციხეში“, კომ. 1 მოქ., „მანია გროსს“, კომედია 1 მოქმ. 7 აგვისტოს ითამაშება „მეთევზენი“, დრამა 1 მოქმ. ზ. ბ. ოსტროვისა, „მდიდარი სასძლო“, კომ. 1 მოქ. მისივე და „სარჩობელიდან სარჩობელაზე“, კომ. 1 მოქმ. მისივე. ბ-ნი ოსტროვი (დედით ქართველია) დახელოვნებული და ცნობილი არტისტ-დრამატურგია. მისი სახალხო პიესები მთელ რუსეთშია მოფენილი. როგორც გავიგეთ, ბ-ნ ოსტროვს აზრადა აქვს სამუდამოდ ტფილისში გადმოსახლდეს და სახალხო წარმოდგენების მართვას შეუდგეს.

✦ ზემო-ავჭალისა და გლდანის მებაღეები დიდ გაჭირებას იტანენ. ამას წინად შეიკრიბა 135 მებაღე და შემდეგი **მოთხოვნილებანი შეიმუშავა:**

მოისპოს საიჯარო ფული. იჯარის ნაცვლად ბაღი სანახევროდ მოგვეცეს. ყოველგვარი ხარჯი: მოჯამაგირე, პური, სახედრები, ჭიგო და სხვა, რაც ბაღს სჭირია, საზიარო იყოს. ბაღს უნდა ჰქონდეს: კარგი ბინა, ბოჭკები, ქვევრები და სასუქი. ამ ხარჯებში მებაღეებს წილი არ უნდა ედოთ. მოისპოს მემამულის მასართმევი ღვინის თავი და ნობათი. ახალ ნაშენ მამულში მებაღეს ამქართა შეფასებით ნახევარზე მეტი მიეცეს. თუ რამე გარეშე მიზეზებით ბაღმა იზარალა (სეტყვით), მემამულემ უზღოს მებაღეს ზარალი, მებაღეთა ამქრის შეფასების თანახმად. ბაღის მასალის და იარაღის ხარჯი ყოველივე სანახევრო იყოს. თავისი წილი ჭურნახული მემამულემ თავისივე ხარჯით წაიღოს და როგორც უნდა ისე მოჰყაროს. მოისპოს მემამულეებისა და მათი მოჯამაგირეების ბაღებში საზიაროდ ჩამოსახლება, რადგანაც მათგან ბაღებს დიდი ზარალი მოსდით. მემამულეს უფლება არა ჰქონდეს მებაღის უმიზეზოდ დათხოვნისა. დათხოვნის შესახებ მემამულემ ერთი თვით ადრე უნდა შეატყობინოს მებაღეს. თუ მემამულეები ამ პირობაზე არ დაეთანხმდებიან, მაშინ ჯამაგირი აძლიონ მებაღეებს. უფროს მებაღეს მიეცეს თვეში 60 მანეთი, უმცროსს 45 მანეთი. ზემო აღნიშნულ მოთხოვნილებებზე მემამულეებმა გადაწყვეტილი პასუხი 25 აგვისტომდე უნდა მოგვცენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ წლისათვის მუშაობაზე ხელს ვიღებთ. ჩვენ მიერ დასახელებულ პირობებით მუშაობას დავიწყებთ ამ წლის პირველ გიორგობისთვიდან. თუ მამულის პატრონები თანახმა არ გახდებიან, ჩაბარონ თავიანთი მამულები და შეისყიდონ ჩვენი კუთვნილი ნავთობი.

✦ ქალაქის გამგეობის წევრმა თ-დ ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა **გამგეობას განუცხადა:** „ნავთლუღის ქუჩაზე სამხედრო საინჟინერო უწყებას ფიცრულით შემოუფარგლავს დიდი ნაჭერი ქალაქის მიწისა და ზედ შენობებიც აუგიაო“. გამგეობამ დაადგინა, არჩეულ იქმნას კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს როდის მოუთვისებია ეს მიწის ნაჭერი სამხედრო უწყებას. ამის შემდეგ გამგეობა სასამართლოში აპირობს ჩივილს.

✦ 31 ივლისს, საბურთალოზე, საღამოს 8 საათზე, 5 შეიარაღებული კაცი დაეცა მეფურნე პოლოს ბაზიიანცს და მელქო ტატოიანცს და გაქურდეს.

✦ **ბათუმი.** 30 ივლისს, მემანქანის თანაშემწე კ. ბაევი დასჭრეს.

✦ მეექვსე საპოლიციო უბანში, ვორონცოვის ქუჩაზე მოვაჭრე გაბრიელ ბუდაგოვის დუქანი გასტეხეს და 150 მანათის სპარსული აბრეშუმეული და 450 მანათი ნაღდი ფული წაიღეს.

✦ 31 ივლისს საფოსტო-სატელეგრაფო უწყების მოსამსახურე ივანე კაზიმიროვმა წყლის დასალევნებლად ცხენები მტკვარზე ჩაიყვანა. ერთი ცხენი ღრმა ადგილას ჩავარდა და დაიხრჩო.

✦ როგორც შევიტყვეთ, არჩილ მათიკაშვილს, რომელსაც წარსულ კვირას რუსის პატრიოტებმა კაზაკების დახმარებით სცემეს, ბრალმდებელთან საჩივარი აღუძრავს ჟანდარმ ჩერნენკოზე, ჩერნენკომ მომისიაო.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“-ის დამატება)

გასულ თვის უკანასკნელ რიცხვებში შეამჩნიეს, რომ ვიღაცა საეჭვო კაცები ნამესტნიკის სასახლესთან ტრიალობდნენ ხშირად და მოხელე პირების სასახლეში შესვლა-გასვლას თვალს ადევნებდნენ.

ამიტომ პოლიცია მათ თვალს ადევნებდა და ბოლოს შეიტყო, რომ მათ დამოკიდებულება ჰქონდათ ბევრს სხვა ცნობილ-არაკეთილ საიმედო კაცებთან. სხვათა შორის, პოლიციამ შეიტყო, რომ 28 ივლისს ერთმა მათგანმა მასჩერკის ფოტოგრაფიაში შეიძინა ფოტოგრაფიული სურათი კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ კრებაზე მონაწილეობის მიმღებთა. პოლიციამ შეიტყო აგრეთვე, რომ ის უცნობნი, რომლებიც სასახლეს თვალ-ყურს ადევნებდნენ, თავს იყრიდნენ სასტუმრო „გრანდ-ოტელ“-ში და ამ ბოლოს დროს შიგ მძიმე ბოხჩები შეჰქონდათ. საიდუმლო გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს უცნობნი ჩვეულებრივ 28 ნომერში იკრიბებოდნენ. ეს ნომერი დაქირავებული ჰქონდა ერთ ქართველ ყმაწვილ კაცს, რომელიც თავის მოქმედებით ყველას ყურადღებას იქცევდა.

პოლიციამ გადასწყვიტა, ყველა ეს პირები შეეპყრო.

31 ივლისს, შუადღისას, პოლიციის მოხელენი მივიდნენ სასტუმრო „გრანდ-ოტელში“ ამ პირების შესაპყრობად და უცბად შევიდნენ 28 ნომერში. აქ ამათ ნახეს ოთხი კაცი, რომლებმაც ძალის ხმარება მოინდომეს და სცდილობდნენ ხელში აეღოთ სტოლზე მდებარე რევოლვერი „ბრაუნინგის“ სისტემისა. ამავე დროს ერთს მათგანს უნდოდა როგორმე ფეხთან მისულიყო, სადაც, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, შენახული იყო გატენილი ყუმბარები, მაგრამ პოლიციის მოხელეებმა აღარ დააცალეს და ყველა დროზე შეიპყრეს,—ერთი მათგანი თავშაც დასჭრეს.

მალე იმ ადგილას მივიდა გამომძიებელი და ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი დოლნიკოვი, დაათვალიერეს მე-28 ნომერი და ფეხში ნახეს შვიდი ყუმბარა, ეგრედ-წოდებულ „მაკედონიის ტიპისა“, ზოგი დიდი. ზოგი პატარა. ორი მათგანი გატენილი იყო. ამას გარდა აქვე ნახეს [illegible] ასაფეთქებელი ვერცხლის წყალი, ბიკფორდის პატრუქები და ფისტონები. იქვე იპოვეს სურათები ნამესტნიკისა, პოლიციის უფროსის შირინკინისა და „ტფილისის სოციალისტ-რევოლუციონერ პარტის“ განაჩენი, რომლითაც გენ. შირინკინს სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი.

დამნაშავენი, როგორც იმათის პასპორტებიდან სჩანს, არიან: 1) დავით კანაური, 2) შიო მაღლაშვილი, 3) გასპარ კანაროვი და 4) მიხეილ პეტროვი. ყველანი დაატუსაღეს. გამოძიება სწარმოებს.

ქუთაისის ცხოვრება

27 ივლისს ქუთათურ მიკიტნებს, მერესტორნეებსა და მედვინეებს ქალაქის გამგეობის დარბაზში კრება ჰქონდათ: უნდა გადაეწყვიტათ, გაიღოს თუ არა კვირა-უქმე დღეებში სამიკიტნოები, რესტორნები და ღვინის საწყობები. კრებაზე დიდი აურ-ზაური იყო: ყველას ერთსა და იმავე დროს უნდოდა ლაპარაკი, ერთმანეთს სიტყვას აწყვეტინებდნენ, ერთი-მეორისას არ ისმენდა და თავმჯდომარის ზარის განუწყვეტელ წკარუნს ყურადღებას არ აქცევდნენ. მათის ამ გვარის კამათიდან კაცი მხოლოდ იმას გაიგებდა, რომ თითქმის ყველას სურდა საკითხი დახურულ კენჭის ყრით გადაწყვეტილიყო. როგორც მოსალოდნელიც იყო, კრებამ დახურული კენჭის ყრით, 100 ხმის უმეტესობით 8 ხმის წინააღმდეგ, გადაწყვიტა სამიკიტნო—რესტორანებსა და ღვინის საწყობებში ვაჭრობა მთელის დღით იქმნეს. სამიკიტნო—რესტორანების გაღების გამართლება კიდევ შეიძლება, რადგან სასმელ-საჭმელი და მოსასვენებელი ადგილი ყოველ დღე საჭიროა კაცისთვის, მაგრამ ეს ღვინის საწყობების პატრონებიც რომ გამოესარჩლნენ, მათ რაღა უნდათ? ღვინის ყიდვა და უქმე დღისათვის მომზადება ხომ წინა დღითაც შეიძლება! ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სამიკიტნო-რესტორანებშიაც ყოვლად შეუძლებელია მთელი დღით და ხანდისხან მთელი ღამითაც ვაჭრობა: სადილათ, მაგალითად, მოსამსახურეების ერთი რიგი რომ იმუშავებს, ვახშმად ამათ უნდა მოისვენონ და მეორე რიგმა იმუშაოს, თორემ მოსამსახურეები ხომ უსულო და უგულო მანქანები არ არიან, რომ ხშირად მთელი დღე-ღამე ფეხზე იდგნენ, ციბრუტივით ტრიალებდნენ და მუშტრებს ემსახურებოდნენ!..

✦ სხვადასხვა სახელოსნოების ქარგლებმა და შეგირდებმა მოთხოვნები წარუდგინეს უფროსებს თავის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. რადგან უკანასკნელებმა ამ მოთხოვნებზედ უარი განაცხადეს, პირველნი გაიფიცნენ და დასტოვეს სახელოსნოები. ახლა მოლაპარაკება ჩამოვარდნილი შეგირდებ-ქარგლებსა და მათ უფროსების შორის.

✦ სახლის პატრონებს წარუდგინეს მოთხოვნები ქირის დაკლების შესახებ. ამ მოთხოვნებს შედეგად ის მოჰყვა, რომ ბევრმა მემამულემ დაუკლო ქირა სახლებს, განსაკუთრებით სავაჭროებს, 15%-დან 20%-დის.

✦ ქუთაისმაც შემოიღეს ქურდბაცაცების განსამართლების ახალი წესი. 27 ივლისს, მაგალითად, ქუთაისში დაიჭირეს ორი ჯიბგირი, რომელნიც მიიყვანეს ქალაქის ბაღში, რამდენჯერმე შემოატარეს ხალხის სავსე ხეივნები და ათქმევინეს: „ჯიბგირი ვარ! ახლა მაპატიეთ და შემდეგში აღარ ჩავიდენთ ცუდ საქმესო“.

მკითხველს შუა ამგვარი შუამავალი არ არსებობს. აიღეთ გამოჩენილი მეცნიერი და გამოჩენილი პოეტი! პირველის აუდიტორია წვეთია მეორის ფართო აუდიტორიასთან შედარებით; ამიტომ ყოველი კეთილი აზრი, ყოველი კეთილი მისწრაფება პოეტს გაცილებით უფრო ადვილად და ძლიერად შეუძლია შთანერგოს მკითხველ საზოგადოებაში, ვიდრე პროზაიკ—მწერალს; ხელოვნების ძლიერი მნიშვნელობა და მასთან უპირატესობა სწორედ ამაში მდგომარეობს. ამიტომ ყოველი მწერლის, ყოველი ხელოვნური ნაწარმოების გარჩევის დროს კრიტიკოსმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს თვით მშვენიერების დაფასებას, რადგანაც იქ, სადაც მშვენიერება არ არის აზრიც შთაგონებისა და გატაცების ძალას მოკლებულია.

ი. გომართელი.

ჰენრიკ იბსენის უკიდურესის ინდივიდუალიზმის განვითარება

უკანასკნელი დრამები.

„სოლნესის“ შემდეგ იბსენმა დასწერა „პატარა გიოლფი“, „ჯონ გაბრიელ ბორკმანი“ და „როდესაც ჩვენ, მკვდარნი, ვიღვიძებთ“. ძნელი ასახსნელია იბსენის ნახტომი „სოლნესიდან „გიოლფისკენ“. ამ დრამაში იბსენი ხელ-ახლა საზოგადო კითხვებს უბრუნდება. აქ იგი არჩევს იმას, თუ რა მოვალეობა აქვს დედ-მამას შვილისადმი.

„ჯონ გაბრიელ ბორკმანი“ შესანიშნავი დრამაა, არა მარტო იმიტომ, რომ იგი მეტის-მეტად მხატვრულად არის დაწერილი და ღრმა აზრებით სავსეა. ამ დრამაში, როგორც ფოკუსში, შეერთდნენ „გარეული იხვის“ და „ზღვის ქალის“ პესსიმიზმი და „ხურო სოლნესის“ ინდივიდუალიზმი. აქ გამოყვანილია იალმარისებური პატარა პიროვნება ფოლდალი და ელიდასთანა ძლიერი პიროვნება ბორკმანი. ორთავეს სიცოცხლეში უბედურება დაემართათ და ორთავემ თავი „ცხოვრების სიცრუით“ დაიმშვიდეს. ფოლდალმა როდისღაც დრამა დასწერა, რომელიც არ ვარგოდა და ამიტომ არსად არ დაუბეჭდეს. მან თავისი თავი დაარწმუნა, რომ მისი დრამა გენიოსური თხზულებაა და ამიტომ ვერავინ ვერ დააფასა იგი. ათ წელიწადზე მეტია, რაც ამ დრამას ისე თავს ევლება, როგორც დედა შვილს, ასწორებს და ჯერ კიდევ იმედს არა კარგავს, რომ ბოლოს მაინც დააბეჭდვინებს და ხალხი დააფასებს მის ნიჭს. ეს იმედი კიდევ იმიტომ უღვივის გულში, რომ თვითონ ძლიერი ბორკმანი ამხნევებს მას და ეუბნება, რომ ხალხს არაფერი არ ესმის,—„შენი დრამა—საუცხოვოაო“. ბედნიერებით უბრწყინდება სახე საბრალო ფოლდალს და სიხარულით ჰკითხავს ბორკმანს: „შენ მართლა მაგ აზრისა ხარ, გაბრიელ, რომ ჩემი ტრაგედია კარგია? ოჰ, ღმერთო! როდის მეღირსება ამის სცენაზე დადგმა!“

ბორკმანის „ცხოვრების სიცრუე“ უფრო რთულია. ბორკმანი ბანკის დირექტორად იყო. ამ დირექტორობისთვის მან საშინელი მსხვერპლი მოიტანა. მას უყვარდა ელლა რენტჰეიმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ცოლად არ შეირთო, რადგანაც მის მეტოქისგან იყო დამოკიდებული, მიიღებდა თუ არა იგი ბანკის დირექტორობას. მაშინ ბორკმანმა ელლა მეტოქეს დაუთმო, და ცოლად ელლას და შეირთო და ბანკის დირექტორად გახდა. რად უნდოდა ეს დირექტორობა?

ბორკმანს დიდი პლანები ჰქონდა. მას უნდოდა მოეპოვა წყაროები მთელის მხარის სიმდიდრისა, მას უნდოდა ესარგებლა ყველა იმ სიმდიდრით, რომელიც ჩამარხულია მიწაში, მთებში, ტყეებში და ზღვებში, მოეხვეჭნა მთელი ძალა თავის ხელში და მერე ამით ბედნიერება მოეტანა სხვებისთვის. მას უნდოდა აეშენებინა დიდი გემები, რომელნიც შემაერთებელ ძაფებად გადაიქცეოდნენ ქვეყნებ შორის, აეგო უზარმაზარი ფაბრიკები, რომელნიც იმუშავებდნენ დღე და ღამე. „ყველა ესაო, ამბობს ბორკმანი, ჩემი სამეფო უნდა ყოფილიყო, ამ სამეფოში ყველა ბედნიერი იქნებოდა“. ამ პლანების შესასრულებლად ფული იყო საჭირო და ამიტომ უნდოდა ბორკმანს ბანკის დირექტორობა. როდესაც იგი დირექტორად გახდა, მან ამ მიზნისთვის თამამად ისარგებლა ბანკის ფულებით. ბორკმანი დარწმუნებული იყო, რომ არავინ კაპეიკსაც არ დაკარგავდა, არავინ არ გაღარიბდებოდა. ბორკმანის სიტყვით, იგი მიზანთან ახლო იყო კიდეც,—საჭირო იყო კიდევ ერთი კვირა დასცლოდა, მაგრამ ღალატმა მის მოღვაწეობას ბოლო მოუღო! ბორკმანის საიდუმლო, ბანკის ფულებით უკანონო სარგებლობა, იცოდა მხოლოდ მისმა მეტოქემ, რომელმაც ბორკმანის შემდეგაც ელლას სიყვარული ვერ დაიმსახურა. მან გასცა ბორკმანი, და გულადი ბანკის დირექტორი ციხეში ჩასვეს. ამნაირად ბორკმანის პლანები ჩაიშალა.

ბორკმანი ციხეში დიდხანს იჯდა და, როდესაც იგი გაანთავისუფლეს, ჩაიკეტა თავის ოთახის კარი და რამდენიმე წელიწადი კარში არ გამოსულა. დილიდან საღამომდის იგი წინდაუკან დადიოდა და თავის თავს ასამართლებდა. „მე ვიყავი—ამბობს ბორკმანი,—ჩემი თავის ბრალმდებელიც, დამცველიცა და მსაჯულიც. ჩემს საქციელს ისევე სასტიკად ვსჯიდით, როგორც ოფიციალური ბრალმდებელი“. ბორკმანმა თავის თავი გაამართლა—იგი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ, ერთად-ერთი კაცი, ვის წინააღმდეგაც მან დანაშაული ჩაიდინა, თვითონვე ბორკმანი იყო. ბორკმანისთანა რთულ-ბუნებიან კაცს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ცხოვრების მიზანი და სჯეროდეს, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია. რა მიზანი უნდა ჰქონდეს, ახლა ბორკმანს, როდესაც ყველა მისი პლანები ჩაიშალა.

ბორკმანს სასოწარკვეთილებისაგან „ცხოვრების სიცრუე“ იხსნის. ბორკმანმა დაარწმუნა თავისი თავი, რომ ბანკის საქმე უიმისოდ სულ აირ-დაირევა და, როცა ახალი დირექტორი ვერას გააწესრიგებს, მაშინ საზოგადოება მიჰმართავს მას, ბორკმანმას, ხვეწნით,—ბანკის საქმეს ისევ შენ გაუძეღიო. ისინი თავს დაიმცირებენ, დაუწყობენ ხვეწნას და მაშინ ბორკმანი სასტიკ პირობებს დაუდებს. ბორკმანი ამაში ისე მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ, როგორც კი ვისიმე ფეხის ხმა მოესმის, მაშინვე სარკეში იხედება, იღებს მედიდურ სახეს და ემზადება, ამაყად და მკვახედ მიიღოს მოციქულები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბორკმანს და საცოდავ ფოლდალს თითქოს ესმის, რომ მათთვის „ცხოვრების სიცრუე“ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, და ცდილობენ მხარი დაუჭირონ ერთმანეთს თავის მოტყუილებაში. ბორკმანი ეუბნება ფოლდალს, რომ შენი ტრაგედია ნიჭიერად არის დაწერილიო, თუმც იგი არც კი წაუკითხავს; ფოლდალი კიდევ არწმუნებს ბორკმანს,—მე მჯერა, რომ ბანკში ისევ მიგვიწვევენ, რადგან უშენოდ საქმე ცუდად წავაო. ასე ატყუილებენ ორივენი ერთმანეთს. მაგრამ ერთხელ ბორკმანს წამოსცდა: „შენ პოეტი არა ხარ, ფოლდალ“. ამ სიტყვებით ბორკმანმა ფოლდალის „ცხოვრების სიცრუე“ მოსპო და ფოლდალმაც მაშინვე გადაუხადა: „შენ თავის დღეში ისეთი ძლიერი ვეღარ იქმნები, როგორიც ოდესღაც იყავიო“. ფოლდალი მალე შეურიგდა იმ აზრს, რომ იგი პოეტი არ არის, უეჭველია, იგი სხვა რამეს გამონახავს და სხვანაირ თავის მოტყუილებას მიეცემა. ბორკმანს კი არ შეუძლიან დაკარგოს იმის რწმენა, რომ იგი ისევ მოიხვეჭს სახელს და უფლებას. იგი ფოლდალის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევს და ჯიუტად განაგრძობს თავის-მოტყუილებას.

მაგრამ, აი, ბორკმანთან მოდის ელლა რენტგეიმი, ის ელლა, რომელიც ბორკმანმა დირექტორობის ადგილზე გაცვალა. ელლა უხსნის ბორკმანს, რომ მან ისეთი დანაშაულობა ჩაიდინა, რომლის პატიება არ შეიძლება; ბორკმანმა მოჰკლა თავისსა და ელლას არსებაში „სიყვარულის სიცოცხლე“. მას ცხოვრების მიზნად უნდა დაესვა თავისი და საყვარელ არსების ბედნიერება და ამის ნაცვლად იგი გაიტაცა პატივმოყვარეობამ და საზოგადო მოღვაწეობის სურვილმა. ბორკმანი გრძნობს, რომ ელლა მართალია, და სინანული ეპარება გულში. ეს ძლიერი პიროვნება ბოლოს დროს იმ აზრს ადგება, რომ საკუთარი ბედნიერება ცხოვრების მიზანია. როდესაც ელლამ ბორკმანს თვალები აუხილა და სინამდვილე დაანახა, აგრძნობინა, რომ მისი იმედები, მას ვითომ ხელ-ახლად ბანკის დირექტორად მიიწვევენ, ფუჭი ოცნებაა, მაშინ ბორკმანის „ცხოვრების სიცრუე“ მოსპობილ იქმნა და ბორკმანი დაიღუპა.

ამ დრამაში ყველაზე ნათლად სჩანს, რომ ინდივიდუალიზმი იბსენისა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის პესსიმიზმთან. პესსიმიზმამდის იბსენის გმირი ყოველთვის საზოგადო მოღვაწე იყო, ეხლა კი მისი გმირები თამამად აცხადებენ, რომ პიროვნება თავის ბედნიერებისათვის უნდა იბრძოდეს და არა სხვისთვისო. ამნაირად, „გარეული იხვის“ და „ზღვის ქალის“ აზრები დროებითი აზრები არ იყო—ეს აზრები „ჯონ ბორკმანშიაც“ არის გატარებული.

ჩვენ დაგვრჩა გასარჩევი უკანასკნელი სიმბოლიური დრამა „როდესაც ჩვენ, მკვდრები, ვიღვიძებთ“.

მექანდაკე რუბეკს მოუვიდა აზრად, შეჰქმნას დიადი ქანდაკება, რომელსაც სახელად უნდა დარქმეოდა „აღდგომა მკვდრეთით“. ამ აღდგომის გამომხატველი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა ქალი, რომელიც სიკვდილის ძილისაგან იღვიძებს. ეს ქალი უნდა ყოფილიყო მთელ დედა მიწის ზურგზე ყველაზე უწმიდესი და იდეალური არსება. ესეთი აზრები უღვიოდა რუბეკს, როდესაც იგი შეხვდა ირენას. ირენა სწორედ ისეთი ქალი გამოდგა, როგორსაც ოცნებაში სახავდა რუბეკი. იგი დასთანხმდა წაჰყოლოდა რუბეკს და ემსახურა, როგორც მოდელს მისი ქანდაკებისთვის. რუბეკი და ირენა, დიდ ხანს მუშაობდნენ ერთად. ირენამ დასძლია „ქალწულის სირცხვილი“ და იდგა რუბეკის წინ მთლად ტიტველა; მხატვარი კი ნელნელა აკეთებდა თავის ქანდაკებას. ირენას შეუყვარდა რუბეკი და მისმა გულმა ღელვა დაიწყო, მაგრამ რუბეკს ეშინოდა, რომ, როგორც კი იგი ირენას მიეკარებოდა ვნებით, მისი ფიქრები მაშინვე წაიბილწებოდა და იგი ვეღარ დაასრულებდა თავის ქანდაკებას, რომელიც მან დაისახა მიზნად „თავის მხურვალე მისწრაფებათა“. რუბეკი სისტემატიურად ჰკლავდა ირენისადმი თავის ბუნებრივ მისწრაფებას. ირენაში კი იბადებოდა სიძულვილი მხატვრისადმი, რომელიც თითქოს გულგრილად უყურებდა მის ლამაზ სხეულს და უსულო ქანდაკებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. მალე ქანდაკება დასრულდა; ირენა—ლიდინად გადაიქცა. რუბეკი მივიდა მასთან, მხურვალედ ჩამოართვა ხელი და უთხრა: „გმადლობ, ირენა! შენ ჩემს ცხოვრებაში „ბედნიერი ეპიზოდი“ იყავი. სულ-განაბული ისმენდა ამ სიტყვებს ირენა, მისი სულიერი სიმები სულ ერთიანად დაიშალნენ. რამდენისამე დღის შემდეგ ირენა უკვალოდ დაიკარგა.

რუბეკი დიდი ხანი არა დარდობდა ირენას წასვლას. მან მალე შეირთო ლამაზი მაია, თუმცა იგი არ უყვარდა. მას შემდეგ, რაც რუბეკმა შეჰქმნა თავისი ქანდაკება, იგი ვეღარ ჰქმნიდა ვერაფერს. ხატავდა მხოლოდ ბიუსტებს, პორტრეტებს, რომლებშიაც ძალიან ბევრს ფულს აძლევდნენ. რუბეკმა იყიდა მშვენიერი სახლი ტბის ნაპირის და თავი მისცა მაძღარ, ბურჟუაზიულ ცხოვრებას. იგი ხელოვნებასაც აღარ ემსახურებოდა, რადგანაც მისი გული წარმოადგენდა ყუთს, რომელშიაც ჩაკეტილია მისი „შემოქმედი აზრები“. როდესაც ირენა უკვალოდ დაიკარგა, ეს ყუთი სამუდამოდ დაიკეტა, გასაღები კი—ირენას წაჰყვა. თავის სულიერ მარტოობაში რუბეკი საშინელ სინანულს მიეცა. თუმცა რუბეკს ჰყავდა სიცოცხლით სავსე მეუღლე, მაგრამ იგი მაინც სულიერად ობოლი იყო, რადგან მეუღლეთა შორის სულიერი ნათესაობა არ იყო. რუბეკი ნანობდა, რომ ქანდაკებას შესწირა მსხვერპლად თავისი და ირენას ბედნიერება. დანიშნულება მხატვრისა, მისი მოღვაწეობა, რუბეკისთვის ახლა აღარაფრად ღირს. მას სურს ხელოვნებას ამჯობინოს „ცხოვრება“. „განა სიცოცხლე და სიტკბოება, გამოწვეული „მზის სხივების ბრწყინვალებითა“ და სილამაზით, შეუდარებლად მაღლა არა სდგას იმ ხელოვნებაზე, რომლის გულისთვისაც კაცს მუდამ საქმე აქვს თიხასთან და ქვებთან“? ამნაირად რუბეკი იღვიძებს თავის პირად ცხოვრებისათვის.

რამდენისამე წლის შემდეგ რუბეკი და ირენა უცაბედად შეხვდნენ ერთმანეთს სანატორიაში. ორთავემ ნათლად იგრძნეს, რომ მათ თავი დაიღუპეს „წმინდა ცხოვრებით“ ქანდაკების გულისთვის. ისინი თავის დღეში არა ცხოვრებდნენ „სრულის“ ცხოვრებით; სცოდავდნენ ბუნების წინააღმდეგ. მათ დაამარცხეს ბუნება, მაგრამ თვითონ... გაუბედურდნენ.

„შენ წაიღე ჩემი სული და მე უსულოდ დავრჩი, აი, ამიტომ მოვკვდი მე,“—უსაყვედურებს ირენა რუბეკს.

„ყველაფერს, რის დაბრუნებაც შეუძლებელია,

◆ საზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი ი. ი. ოცხელი, რომელსაც რამდენიმე უფროს კლასის მოწაფე ჰყავდა წაყვანილი საკარაკო და სხვადასხვა ადგილების დასათვალიერებლად, უკვე დაბრუნდა მოგზაურობიდან და ამჟამად მონაწილეობას იღებს სახალხო სკოლებისათვის ახალ პროგრამის შედგენაში. მოწაფეები ყოფილან სურამში, ბორჯომში, „პატარა ცემ"-ში, აბასთუმანში და ყველგან დაუთვალიერებიათ, თუ რამ ღირს-შესანიშნავი იყო.

◆ გაფიცულ მებოჭკეებს კაზაკ-რუსების დასმარებით პოლიცია ძალას ატანს და სამუშაოდ გამოჰყავს. მებოჭკეები ძლიერ გაჭირებულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი.

ისარა.

რუსეთი

პოლიციის დეპარტამენტის ახალ დირექტორს გარინს მინდობილი აქვს **პოლიციის სრული რეორგანიზაცია** პოლიტიკური საქმეები მიენდო ვიცე-დირექტორს რაჩკოვსკის, რომელმაც საიდუმლო პოლიციის მოწყობილება ზედმიწევნით შეისწავლა საზღვარ გარეთ. (ნ. დ).

◆ პეტერბურგის იურიდიულ საზოგადოების თავმჯდომარემ, სენატორმა ევრონოვმა ამ საზოგადოების სახელით შინაგან საქმეთა **მინისტრს ნებართვა სთხოვა სრულიად რუსეთის იურისტთა კრებისა.** ეს თხოვნა შინაგან საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა იუსტიციის მინისტრს, რომელმაც ამის ნებართვა არ მისცა იმ მოსაზრებით, რომ ეხლა კრებების დრო არ არისო (რ. ს.).

◆ სამინისტროში ფიქრობენ საქველმოქმედო თანხის გასაძლიერებლად **გადასახადი მოუმატონ** წარმოდგენების ბილეთებს. გადასახადს, როგორც ამბობენ, 20°/o-ით მოუმატებენ (რ. ვ.).

◆ ამას წინად რეველში ხალხმა საროსკიპოები აიკლო. ამის გამო რამდენიმე კაცი სამართალში მისცეს. სასამართლომ დამნაშავენი 969 მუხლის ძალით გაასამართლა. ამ მუხლში აღნიშნულია ის შემთხვევა, როცა ერთი ჯგუფი მეორეს დაეცემა და აიკლებს ან სარწმუნოებრივ, ან ეროვნულ, ან ეკონომიურ შუღლის გამო. დამნაშავეთა ვექილმა ბევრი ილაპარაკა და **პროტესტი გამოუცხადა** იმის გამო, რომ სასამართლო ზემოდ აღნიშნულ მუხლის ძალით ასამართლებს ბრალდებულთ, მაგრამ სასამართლომ ამის ყურადღება არ მიაქცია და დამნაშავეთ თითო წლით ციხე გადაუწყვიტა (ს. დ.).

◆ პეტერბურგის გრადონაჩალნიკის თავმჯდომარეობით მოხდა კრება იმ კომისიისა, რომელსაც რაიმე საშვალება უნდა გამოენახა და პეტერბურგის ქუჩებში პროსტიტუცია მოესპო. კომისიამ დაადგინა, გაიღოს მთავარ ქუჩების მახლობლად **საქეიფო რესტორანები**, სადაც თავს მოიყრიან პროსტიტუტკები; რესტორანებში ყოველგვარი სასმელი იქმნება და გვიანობამდის ღია იქმნებაო (რ. ვ.).

◆ პეტერბურგის მუშებში ნამდვილი სიმშილობა დაიწყო. **ყოველ დღე რამდენიმე კაცი კვდება სიმშილისაგან**. პეტერბურგში უკვე შესდგა ინტელიგენტებისაგან და მუშებისაგან ცალკე კომიტეტი, რომელმაც დამშეულებს დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ლესნერისა, ნევისა, ობუხოვისა და სხვა ქარხნების მუშებმა ერთმანეთში ხელის მოწერა გამართეს და დამშეულ ამხანაგებს დახმარება აღმოუჩინეს. მაგრამ დამშეულთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათი გამოკვება სამუშაოს შოვნამდის (უმეტესობას არც კი იღებენ სამუშაოდ, რადგან გაფიცვის გამო იქმნენ დათხოვნილი) აურებელი ფული დაჯდება (რ. ვ.).

◆ ობუხოვის ქარხნის მუშებმა დეპეშით **მადლობა გადაუხადეს გერმანელ მუშებს**, რომელთაც უკანასკნელ დღეებში პეტერბურგის მუშებს დახმარება აღმოუჩინეს (რ. ვ.).

◆ ამ დღეებში ვილნოს სამხედრო სასამართლო გაარჩევს საქმეს ლატიშის რიკსტინისას, რომელსაც ომისთვის ხელის შესაშლელად სამხედრო **თოფხანის აფეთქება უნდოდა** (ნ. ჟ.).

◆ კრემენჩუგში უნდოდათ პოლონელ მხატვართა სურათები გამოეფინათ, მაგრამ ადმინისტრაციამ ამის **ნებართვა არ მისცა** (ნ. ჟ.).

◆ 24 ივლისს პეტერბურგში გამოვიდა ახალი ჟურნალი „პეჩატნი ვესტნიკ". ჟურნალი იმით არის **საინტერესო**, რომ რედაქტორი, გამომცემელი და თანამშრომელნი სულ ასოთ-ამწყობნი არიან (რ. ვ.).

◆ პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია რამდენიმე წერილი ჟურნალისტებისა, ექიმებისა და სხვებისა, რომელნიც იწერებიან, ჩვენი თვალით ვნახეთ **სიმშილით დახოცილი** და მომაკვდავი მუშებიო, და საზოგადოებას დახმარებას სთხოვენ (ნ. ჟ.).

◆ **როგორ შინაარსის წიგნებს კითხულობენ რუსეთში.** ერთ წიგნებით მოვაჭრეს უთქვამს „სლოვოს" თანამშრომლისთვის: ორი წლის წინად სულ რომანებსა და საშინელ დრამატიულ მოთხრობებს თხოულობდნენ. ომი რომ დაიწყო, იაპონელ ქალებისა—გეიშებისა და იმათ ზნეჩვეულობის აწერილობა მოითხოვეს. ერთი მოხელე შემოვიდა და მითხრა: იაპონკების შესახებ მომეცით რამე, თორემ ტოკიოში რუსეთის პალატაში მომიხდება სამსახური და იქაურობისა კი არა ვიცი-რაო. დაიწყო თუ არა პორტ-არტურის ალყა, მოითხოვეს დიდი წიგნები, 300—400-ფურცლიანი, რუკებითა და ცხრილებით. პორტ-არტურის აღების შემდეგ სულ „საერო კრებას" თხოულობდნენ, მერე კონსტიტუციას" ეცნენ, ახლა კი ყველა, დიდი თუ პატარა, რევოლუციების ისტორიას თხოულობსო (ნ. ჟ.).

◆ კურლიანდიის საგუბერნიო სამმართველოში ლაპარაკი აღძრეს **სარევოლუციო პარტიის** აგენტების შესახებ, რომელნიც სოფელ-სოფელ ველოსიპედებით დადიან და ხშირად ველოსიპედის დახმარებით პოლიციას გაურბიანო. სამმართველომ დაადგინა, ყველა ველოსიპედისტს მოეთხოვოს განსაკუთრებული ბილეთი და თავის სურათი, რომელიც ველოსიპედისტმა გუბერნატორს უნდა გამოართვას (ნ. ჟ.).

◆ ვარშავა-ვენის რკინის გზაზე მოსამსახურეებმა გზათა მინისტრს სთხოვეს, ნება მოგვეცით ჩვენი ფულით გახსნილ ტეხნიკურ სკოლაში **სწავლა პოლონურ ენაზე** იყოსო. მინისტრმა უარი შეუთვალა (რ. ს.).

◆ კიშინოვის **ხულიგანები** ისე **თავს გავიდნენ** და ისეთი ამბები მოახდინეს, რომ მათის ორგანიზაციისა და შრომის შესასწავლად ლონდონიდან და პარიზიდან კორესპონდენტები ჩამოსულან (რ. ს.).

◆ **სენატორი პოსტოვსკი** მოსკოვში გაიგზავნა სხვადასხვა საქმეებისა გამო. პოსტოვსკის, სხვათა შორის, მინდობილი აქვს გამოკვლევა იმ კრებებისა, რომელიც სრულიად რუსეთის საერობო და საქალაქო წარმომადგენლებს ჰქონდათ (რ. ვ.).

◆ გუბერნატორები: მოსკოვისა კრისტი, ეკატერინოსლავისა—ნეიტგორტი და პრიმორის ოლქისა—კულებიაკინი **სამსახურს თავს ანებებენ** (რ. ს.).

◆ ამ ცოტა ხანებში გამოვა ახალი შინაური—5°/o-ნი **სესხი** (რ. ს.).

◆ ფინლიანდიის სეიმი აპირობს სთხოვოს ხელმწიფეს, რომ გაუქმებულ იქმნას ყველა ის კანონები და განკარგულებანი ფინლიანდიის შესახებ, რომელზედაც ფინლიანდიის სეიმს ნებართვა არ მიუცია (რ. ს.).

◆ „პეტ. გაზ."-ს სიტყვით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დეკანოზ **იოანე კრონშტადტელის საეჭვო საქციელები** და საქმეები უნდა გამოიძიოს (რ. ს.).

◆ ამ ცოტა ხანებში მთავრობა სარევიზიოდ გაგზავნის ერთ სენატორს, რომელმაც მთელ რუსეთში ყველა ის ადგილები და საპყრობილეები უნდა დაიაროს, სადაც **პოლიტიკური დამნაშავენი** არიან გადასახლებულნი ან დამწყვდეულნი (რ. ს.).

◆ გუშინ, 1 აგვისტოს კრონშტადის სამხედრო საზღვაო სასამართლომ ლიბავაში დაიწყო განხილვა 137 მატროსის საქმისა, რომელთაც **აჯანყება ბრალდებათ**. ეს მატროსები ივნისში აჯანყდნენ და „პოტიომკინს" მაჰბაძეს (რ. ს.).

◆ ვლადიმირის საერობო გამგეობამ ხელმწიფე იმპერატორის სიტყვა (6 ივლისისა) დაბეჭდა და სოფლის კანცელარიებს გაუგზავნა გლეხებისთვის დასარიგებლად. მაგრამ საერობო უფროსმა, რომელიც გლეხების თვითპყრობელი ბატონია, დაბეჭდილი ფურცლები დაიჭირა და გლეხებს არ დაანება (რ. ს.).

◆ ლიბავაში მუშები **სინდიკატის** დაარსებას აპირობენ (რ. ვ.).

◆ „სინ ოტეჩესტვამ" მიიღო შემდეგი დაბეჭდილი **ბრძანება გომელის პოლიცმეისტერისა:** „ოთხი დღეა პოლიცმეისტრად ვარ და უკვე ორჯერ მესროლეს ყუმბარა. ყუმბარები საზიზღარმა ურიებმა მესროლეს. წინდაწინვე ვაცხადებ, რომ ყველა ებრაელ-დემოკრატს დახვრეტენ კაზაკები, რომელნიც სიარულის დროს წინ მიმიძღვიან. ამის ბრძანება კაზაკებს მივეცი კიდეც. უკანასკნელ დროს პოლიციელებსა და სალდათებს ფანჯრებიდან ხშირად ესვრიან რევოლვერებსა და ყუმბარებს. ამის გამო ბრძანება გავეცი, რომ ჯარმა პირდაპირ დაუშინოს თოფი იმ სახლს, საიდანაც რევოლვერს გაისვრიან. დროებით პოლიცმეისტერი ხლებნიკოვი" (ს. ო.).

უცხოეთი

გერმანია. მუშათა გაფიცვა. საქსონიის სამღებრო ქარხნებში ეს ორი კვირაა რაც გაფიცვაა. ყველა ეს ქარხნები დაუქმებულია. ეს გაფიცვა საფეიქრო ქარხნებსაც ეხება, რადგან მიტკლის დაჩითვა შეუძლებელი გახდა. გაფიცულია 28 ათასი ფეიქარი. მუშათა კავშირები დახმარებას უწევენ გაფიცულებს.

მუშებმა მექარხნეებს შეუთვალეს, შინაურულ მოლაპარაკებით გავათავოთ საქმეო. მაგრამ მექარხნეებმა ცივი უარი შეუთვალეს. ამბობენ, რომ მექარხნეებმა საერთო შეთანხმებით განგებ გამოიწვიეს მუშათა გაფიცვა, რომ ამ სახით დაასუსტონ და დაშალონ მუშათა კავშირებიო. გერმანული პრესსა მეტად ჰკიცხავს მექარხნეებს, რომ შინაურულ მოლაპარაკებაზე უარი სთქვეს. ისეთი ზომიერი ლიბერალური გაზეთებიც კი, როგორიც „ბერლინერ ტაგებლატ"-ია მუშების მხარს იჭერს და ამბობს: ასეთი მცირე მოთხოვნილება, როგორიც კვირაში 15 მარკა (7 მან. 20 კ.) ხელფასად, სირცხვილიცაა რომ არ დააკმაყოფილონ, მით უმეტეს, რომ ყველა სამღებრო ქარხნებში ასეა განიხრულიო. გაფიცულები მტკიცედ სდგანან თავის მოთხოვნილებაზე და იმედია, თავისას გაიტანენ.

ჰოლანდია. განხეთქილება სოციალ-დემოკრატთა პარტიაში. ამ უკანასკნელ არჩევანების დროს ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატთა პარტიის საბჭომ მოითხოვა, რომ პარტიის წევრებს მხოლოდ იმ ლიბერალებისათვის მიეცათ მხარი, რომლებიც საყოველთაო, შეუზღუდველ საარჩევნო უფლების მიმხრენი არიან. მაგრამ ბევრი სოციალდემოკრატი არ დაემორჩილა ამ დადგენილებას, რითაც დიდი გაკიცხვა და გმობა დაიმსახურა პარტიის საბჭოსი და ამხანაგებისა. განსაკუთრებით უდიერად გაამათრახეს ექიმი ტრელსტრი, რომელიც პარტიულ ორგანოს „ვოლკ"-ის სათავეში იდგა. ექიმი ტრელსტრი ამის გამო სწერს ამ გაზეთში: „ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვესალმოთ ამ ბრიყვულსა და მოუხეშავს ჩვეულებას, რომელმაც ბოლონდელ კონგრესზედაც იჩინა თავი. ეს ჩვეულება იმაში მდგომარეობს, რომ უფროს წევრებს ისე უცქერიან ჩვენი მოძმენი, როგორც უზრდელის ლანძღვა-თრევის სანიშნეს. საყურადღებო ის არის, რომ ეს საძაგელი ჩვეულება მუშებისაგან კი არ შეგვითვისებია, განათლებულთა მეოხებით მუშებში შეგვაქვსო. დროა შევიგნოთ, რომ სოციალ-დემოკრატობა და უზრდელობა ერთი და იგივე არ არისო".

ექიმ ტრელსტრს ისე გაუჭირეს საქმე, რომ მან გადასწყვიტა სრულებით მიატოვოს პოლიტიკური მოღვაწეობა.

ჩვენ ვხედავთ მაშინ, როდესაც მკვდრეთით ავდგებით! მაშინ ვხედავთ რომ თავის დღეში არა ვცხოვრობდით", —სწერია ამ დრამაში.

სიკვდილს ის გარემოება მოასწავებს, რომ რუბეკსა და ირენას არ ესმოდათ, თუ რაში მდგომარეობს მათი სიცოცხლის ნამდვილი მიზანი: ისინი ცხოვრებდნენ პასსიურად,—მხურვალედ არ მიისწრაფებოდნენ თვის ბედნიერებისაკენ. როდესაც იგინი ერთმანეთს განშორდნენ, მაშინ მათ გაიღვიძეს, მიხვდნენ, რომ მათ უნდა ეცხოვრათ „ერთმანეთთან და ერთმანეთისთვის", არ უნდა მოეკლათ თავის არსებაში თვით ხელოვნების გულისთვისაც კი სქესობრივი სიყვარული, თავის ბედნიერება არაფრის გულისთვის მსხვერპლად არ უნდა მოეტანათ. რაკი ირენამ და რუბეკმა გაიღვიძეს, მათ გარდასწყვიტეს ახლა იცხოვრონ „ნამდვილის და სრულის ცხოვრებით", გაასწორონ წარსული შეცდომა. მაგრამ გვიან არ არის?

ირენა უფრო სკეპტიკურად ფიქრობს. იგი ჰკითხავს რუბეკს: „რა იქნა შენი ჩემდამი ვნებათა ღელვა? ის ღელვა, რომელსაც შენ ებრძოდი, როდესაც მე ვიდექი, შენ წინ, როგორც გამომხატველი თავისუფალ, მკვდრეთით აღდგომილ ქალისა"? ირენა ამბობს, რომ ორივენი მკვდრები არიან, რადგანაც ბედნიერებისადმი მისწრაფება აღარა სჩქეფს მათს ძარღვებში. რუბეკი მხურვალედ ეხვევა ირენას და ამბობს: „მაშ დავლიოთ ჩვენ, მკვდრებმა,, მხოლოდ ერთხელ ცხოვრების ფიალა ძირამდის, დავლიოთ, სანამ საფლავში დავბრუნდებით". მაგრამ აქ კი არა, სადაც სუდარა შემოგვეხვევა, არამედ ზევით სინათლისკენ, სადაც ბუნება სილამაზით ბრწყინავს", ირენა და რუბეკი მიისწრაფვიან ზევით, მათ უნდა გაიარონ ბურუსი, ძალნი „სინათლისა და სიბნელისა" უმზერენ მათს მისწრაფებას, ღრუბლები მრისხანედ ეხვევიან გარეშემო; უცებ ისმის გრიალი, ზვავი ტრიალით მოჰქუხს ქვეით: რუბეკი და ირენა თოვლში იმარხებიან.

თუმცა მათ გაიღვიძეს პიროვნულ ცხოვრებისათვის, მაგრამ უკვე გვიან იყო. თავის პირად ბედნიერებისთვის გაიღვიძა აგრეთვე მაიამ. იგი ამბობს: „მე მინდა „ცხოვრება" და ვერაფერი ვერ დამაკმაყოფილებს, ცხოვრების მეტი". მაია მღერის: „მე თავისუფალი ვარ, თავისუფალი, ჯაჭვები აღარ მაკრავს, აღარა ვზივარ ცივ საპყრობილეში, მე თავისუფალი ვარ, როგორც ფრინველი". მკითხველი ხედავს, რომ მთელ დრამაში კრინტი არ არის დაძრული საზოგადოებისთვის მსახურებაზე და სხვებისთვის თავ-დადებაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბ-მა კალაძმა „ცნობის ფურცელში" სთქვა, რომ „რუბეკის აღდგომა—ზნეობრივი აღდგომაა გაეგოისტებულ ადამიანისა. ეგოისტი მხატვარი რუბეკი დაიმსხვრევა და საყვარელ ირენასთან ერთად უნდა დაიწყოს ახალი ცხოვრება, სიმართლეზე აგებული, ცხოვრება სხვებისთვის თავდადებისა". მთელი დრამა წარმოადგენს პროტესტს იმ აზრის წინააღმდეგ, რასაც კალამი იბსენს აწერს. პიროვნებამ, იბსენის აზრით, არავითარი მსხვერპლი არ უნდა მოუტანოს არც საზოგადოებას, არც ხელოვნებას. პიროვნებამ უნდა იცხოვროს სრულის ცხოვრებით და აიღოს მისგან ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია. ხალხმა შეჰქმნა სხვადასხვა იდეალები (ამ იდეალებს იბსენი „გარეულ იხვში" „სიცრუეს" უწოდებს), ზნეობრივი კანონები, გაჰკიცხა ეგოიზმი. თავის ცხოვრების მიზანს ადამიანები თავის პიროვნების გარედ ეძებენ და თავის მოვალეობად სთვლიან, თავისი პიროვნება მსხვერპლად მოუტანონ იდეალებს; საზოგადოების ან ხელოვნების გულისთვის პიროვნება ხშირად თავის ინსტინქტებს და ბუნებრივ მოთხოვნილებას ჰკლავს. იბსენი ამგვარ შეხედულებას არღვევს. თავის უკანასკნელ დრამით იგი ამტკიცებს, რომ ცხოვრების მიზანი პიროვნების საკუთარ ბედნიერებაშია! პიროვნება უნდა სტკბებოდეს „მზის სხივების ბრწყინვალებით" და სილამაზით. ხალხის უმრავლესობას სძინავს სიკვდილის ძილით, მისი აზროვნება სიბნელით არის მოცული; უმრავლესობამ არ იცის რაში მდგომარეობს სიცოცხლის მიზანი; იგი სიცოცხლეს ვერ აფასებს, მაგრამ ზოგჯერ ზოგნი გაიღვიძებენ ხოლმე დიდი ხნის ძილისაგან, როგორც, მაგალითად, რუბეკი და იერენა, მხოლოდ ამ გაღვიძების შემდეგ მათ ესმით, რომ ცხოვრების მიზანი მდგომარეობს მათს საკუთარ ბედნიერებაში, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ბედნიერებისკენ მისწრაფებაში. ადამიანის დანიშნულებაა—იბრძოლოს საკუთარ ბედნიერებისთვის; „გაღვიძებულთა" აზრით, პიროვნებამ „მიწიერი სიყვარულიც" კი არ უნდა მოუტანოს მსხვერპლად ხელოვნებას.

ამნაირად, იბსენი თავის უკანასკნელ დრამაში ეგოიზმს იდეალად სახავს, და უკიდურესი ინდივიდუალიზმი ნორვეგიელ დრამატურგისა ძალიან უახლოვდება გერმანელ ფილოსოფოსის შტირნერის ინდივიდუალიზმს.

შალვა ნათაძე.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

1 აგვისტო

პეტერბურგი. რაკი იაპონიის და რუსეთის წარმომადგენლები ერთად იწყებენ ზავის პირობების მუხლების ცალ-ცალკე გარჩევას, ამას ისე უყურებენ, როგორც მოლაპარაკების სვლის გაუმჯობესებას. რუსების პასუხი გადაჭრით აცხადებს უარს იაპონელების პირობების მიღებაზე, მაგრამ იაპონელებმა ეს პასუხი საკმარისად იცნეს მოლაპარაკების გასაგრძობად. ამიტომ იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკება კარგად ჩაივლის.

სავაჭრო ნავოსნობის მთავარი გამგეობა სანავთსადგურო გამგეობებთან ცალკე კომისიებს აარსებს სავაჭრო გემების შესამოწმებლად, რომელსაც საზღვარ-გარეთ იყიდიან ან შინ ააშენებენ.

კორპუსების ინტენდანტებმა, გაზეთების სიტყვით, ახალი რეფორმები შეიმუშავეს საინტენდანტო საქმის გასაუმჯობესებლად.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

31 ივლისი.

პეტერბურგი, 31 ივლისს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

ნიუ იორკი, 31 ივლისი. ვიტტე, რომელსაც გუშინ გაზეთის რეპორტერები ელაპარაკებოდნენ, აცხადებს, იაპონელებს რუსების პასუხის საწინააღმდეგოდ არაფერი არ უთქვამთ. კომისიამ წინადადება მისცა, იაპონელების წინადადების ცალკე მუხლები გავარჩიოთო. ამიტომ 30 ივლისს იაპონელებისაგან წარდგენილ 12 მუხლიდან პირველი მუხლის განხილვას შეუდგნენ, ეს მუხლი ოთხი საათის მოლაპარაკების შემდეგ მხოლოდ ნახევრად გაირჩა. ამ ანგარიშით კონფერენცია 24 დღეს გაგრძელდება. რუსეთს სურს რომ ყველაფერი, რაც კონფერენციას ეხება დაბეჭდილი იყოს გაზეთში. იგი თანახმა არის, რომ მთელი კაცობრიობა მის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებდეს და იმის წინააღმდეგიც არ არის, რომ დაიბეჭდოს იაპონელების მოთხოვნილებანი, რუსების პასუხი, დიპლომატიური მიწერ-მოწერა და კონფერენციის სხდომების ანგარიშებიც: აქ საქმე მხოლოდ რუსეთ-იაპონელების ზავზე და ომზე კი არ არის, არამედ აქ ირჩევა ისეთი საქმე, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მთელ დედა-მიწაზე სისხლის ღვრა და განხეთქილება. ბოლოს ვიტტემ განაცხადა, ტყუილია, ვითომც მე წინააღმდეგი ვიყო დროებით შერიგებისა და კვირას დილას სხდომაზე არ გამოვცხადდიო.

ხარბინი, 31 ივლისი. გაზეთებში ზურგის ჯარის უფროსის ბრძანება დაბეჭდილია. საავადმყოფოში მრავლად მოდის ჯარის კაცები, რომელთაც დაჭრილი აქვთ სალოკი თითი მარჯვენა ხელზე. ამნაირი დაჭრილი 1200-ზე მეტი მოვიდა. სალოკი თითის უქონლობა ანთავისუფლებს ადამიანს სამხედრო სამსახურისაგან. თოფის სროლის დროს სალოკი თითი დაფარულია და ძნელად დასახიჩრდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ განზრახ წაუხდენიათ ჯარის-კაცებს ეს თითი იმისთვის, რომ გაინთავისუფლონ თავი სამსახურისაგან და რუსეთში დაბრუნდნენ. ჯარის მთავარ სარდალი აცხადებს, რომ ამნაირ შემთხვევაში ჯარის-კაცებს რუსეთში აღარ გაზავნიან და მათ შესახებ გამოძიებას დანიშნავენ და დასჯიან ყველას, ვისაც დაუმტკიცებენ, რომ განზრახ წაუხდენიათ თითი.

ნიუ იორკი, 1 აგვისტო. დიპლომატიურ წრეებში ლაპარაკობენ, რომ შეიძლება რუზველტი გაერიოს საქმეში, თუ რუსების და იაპონელების წარმომადგენლები ვერ შეთანხმდებიან: ამიტომ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე პირს განსაკუთრებით თვალ-ყურს ადევნებს მოლაპარაკების მსვლელობას.

პორტ-სმუტი, 31 ივლისი. დღეს კონფერენცია არ შეკრებილა, ორშაბათს დილით შეიკრიბება. დღეს ვიტტემ თავისი წინადადება ახალ რედაქციით შეადგინა და კომურას გაუგზავნა. იაპონების მოთხოვნილება, რომ მოლაპარაკება საიდუმლოდ დარჩეს, უკმაყოფილებას იწვევს ამერიკაში. ვიტტემ აუხსნა ერთ ჟურნალისტს მიზეზი ამერიკელების თანაგრძნობისა იაპონიისადმი. პირველი, იაპონია სცდილობს აფიქრებინოს ამერიკელებს, ვითომც იმათ სასარგებლოდ ომობს: მეორე, რუსეთის შეცდომაა, რომ იაპონიის დავა საერთაშორისო საკითხად არ გადააქცია; მესამეც ებრაელთა საკითხის გამო ამერიკელი ებრაელები ცდილობენ რუსეთს თანაგრძნობა მოაკლონ. ვიტტეს უთქვამს ეს საკითხი მალე ამერიკის გაზეთებში გამოირკვევა და მეც მოლაპარაკება მექნება გამოჩენილ ამერიკელ ებრაელებთანაო.

ქრისტიანია. ხალხს შეეკითხნენ უნიის გამო და ეს დრო დღესასწაულად გადაიქცა. მთელი ქვეყანა დროშებით არის მორთული. ხმის მიმცემთა რიცხვი მოლოდინს ბევრად აღემატება. საღამოს ათ საათზე განცალკევების მომხრეთა რიცხვი 58,062 იყო 17 წინააღმდეგ.

—

პეტერბურგის ბირჟა, 29 ივლისი.

სამ-თვიან თამასუქების კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	39,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,07½
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5½—6¾°/o
4°/o სახელმწიფო რენტა	85⅛
4°/o-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4°/o გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	80¼
5°/o პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	412
5°/o მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	322
5°/o გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	267
5°/o ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½°/o ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5°/o-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5°/o გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½°/o გრავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6°/o გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5°/o გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	208
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	10800

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—22)

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა
სამშობლოსათვის თავდადებულნი. . 40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში . 20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა . 20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . . 10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა. 20
დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:
შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 43 კ, რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.
და სხვა ყოველგვარი წიგნები.
მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა". **სოსიკო მერკვილაძე.** (20—14)

ЖЕЛАЮЩИХЪ отдать свои квартиры въ наймы, просятъ сообщить безплатно свой адресъ въ контору Самадовой, на Дворцовой улицѣ. № 1. 1—1

დაარსდა ახალი საწყობი კახურის ღვინისა
შემდეგის ფირმით:
კახეთის მევენახეთა ამხანაგობა
„ძმობა"
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა.
ტელეფონი № 1036.

НЕСТЛЕ
Дѣтская молочная мука
Сгущенное МОЛОКО НЕСТЛЕ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 1 Августа 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5